# საქართველოს რესპუბლიკა



დაარსებულია 1918 წელს.



ხუთშაბათი, 15 იანვარი, 2009 წელი.

№ 7 (6108)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

## უმადურობა და პოლიტიკური პროვინციალიზმი



ჯორჯ ბალანჩინი აშშ-ს მოქალაქე იყო, ამერიკა კი ჩვენი შემწე და მეგობარია. თუ ბუშის ქუჩა შეიძლება იყოს თბილისში, რატომ არ შეიძლებაო ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ ამერიკული ბალეტის დიდი ხელოვანის, ისიც წარმოშობით ქართველის ქანდაკება? ხომ „მაგარი" ლოგიკაა?! , თუმცა ამაზე ილია იტყოდა — „ლოგიკავ, სადა ხარ"?.

5

## ილია II: საქართველო აუცილებლად გამონახავს უფლის გზას

2



## დემურ გიორხელიძე: როცა ეკონომიკურ ავანსცენაზე მთავარი მოთამაშე ხელისუფლებაა, ყველაფერი შეიძლება ძალიან ცუდი შედეგებით დასრულდეს

2



## ახალ წელს ძველი პრობლემებით

6 7



## „რუსთავი-2" და... ქლაბშოუს პედერასტები





9







## რევოლუციური ვარდების ჭკნობა და „მსოფლიო კრიზისი"

3

## ინფლაციამ თავი სახლიკაცივით „შეგვაყვარა"

4



## საქართველოს ბრძოლას ასწავლიან

8

ВЗГЛЯД

ექსპერტის აზრი

# ჯიმი ჯალიაშვილი: ამ ქარტიით ამერიკა გაცილებით მეტს მიიღებს, ვიდრე საქართველო

**საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დადებულმა ქარტიამ „სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“, საზოგადოებაში ბევრი საჭირბოროტო კითხვა წარმოშვა. რას უნდა ველოდეთ კონკრეტულად ამ დოკუმენტისგან, რა შედეგს მოუტანს საქართველოს, შეცდომა ხომ არ დავუშვით? ამ თემასთან დაკავშირებით ექსპერტ-პოლიტოლოგი ჯიმი ჯალიაშვილი გვესაუბრა.**



**— ბატონო ჯიმი, როგორ აფასებთ საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გაფორმებულ ქარტიას სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ?**

— პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ ეს ხელშეკრულება ამერიკის ახალი მთავრობის მიერ არ არის ხელმოწერილი. ამის მიუხედავად საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ დოკუმენტის გაფორმება მხოლოდ საქართველოს დამსახურებაა. ეს არის იმ კანონზომიერებით გამოწვეული, რომლითაც მოქმედებს რუსეთი და ამერიკა, ამიტომ სტრატეგიული ნამდვილად არის არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის.

**— შეიცავს თუ არა ქარტია საფრთხეს საქართველოსთვის?**

— კოლოსალურ საფრთხეს შეიცავს. ძალიან ბევრი შეიძლება ჩამოითვალოს. აი, მაგალითად, გვაქვს ჩვენ უნარი გავაგრძელოთ პროტექტორობის ქვეშ ყოფნა, ახლა სრულიად სხვა სივრცეში? არავინ არ მეგულება, ვინც გარანტიას მომცემს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მუდმივი პარტნიორი იქნება, თანაც სტრატეგიული. თუ ამ ქარტიაში ვერ დავინახავთ საფრთხის ნაწილს, მაშინ გამოდის, რომ გულუბრყვილონი ვართ და ვერ დავინახეთ ის, რაც გეორგიევსკის ტრაქტატშიც უნდა დაგვენახა. მით უმეტეს, იმ ტრაქტატში გაცილებით მეტი გარანტიები არსებობდა და მაინც მარცხი ვიწვნიეთ.

**— თქვენი აზრით, რომელია ამ დოკუმენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი?**

— საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მას მისცემენ შეღავათს გლობალურ ეკონომიკურ ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ იმისთვის, რომ ეს მოხდეს, საქართველოში უნდა მოიხსნას სერიოზული პრობლემები, რასაც დიდი დრო დასჭირდება.

**— მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისია, ასევე ამერიკაშიც. ამგვარ ვითარებაში უნდა ჰქონდეს ხელისუფლებას ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების იმედი?**

— ამერიკამ ჯერ თვითონაც ვერ იპოვა ის რეცეპტი, რომლითაც უნდა შეანელოს ეკონომიკური კრიზისი და საქართველო რა დღეში უნდა იყოს?! მაგრამ ჩვენ დაგვეხმარება მხოლოდ ტერიტორიების გამო, ჩვენ ამერიკისთვის წარმოვადგენთ სტრატეგიულ ობიექტს, იმიტომ რომ იგი უახლოვდება საუკუნის დასაწყისში შემუშავებულ პროგრამას — დაეპატრონოს რუსეთს.

**— შეიძლებოდა ამ ეტაპზე რუსეთსა და ამერიკას შორის გარიგება მომხდარიყო?**

— რომ არა ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის წმინდა გეოპოლიტიკური დაპირისპირება, რუსეთი გააკეთებდა იმას, რაც ისრაელმა გააკეთა პალესტინაში, მაგრამ ახლა მას ხელს აძლევს ასეთი ვითარება. ჩვენ გაგვაფრთხილეს, დევების ჭიდილში ცხვირს ნუ ჩაჰყოფთო, მაგრამ ჩვენ ეს პირველებმა გავაკეთეთ და შეცდომა დავუშვით, რაც არ მოსვლია სომხეთსა და აზერბაიჯანს. დღეს ისეთი სიტუაციაა, რომ არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციას არ შეუძლია შეცვალოს პროცესები. და რაც ყველაზე ცუდია ჩვენი მოქალაქეებისთვის, ის არის, რომ ვითარება იყინება. ასეთი მდგომარეობა რუსეთისთვის სასარგებლოა, დოკუმენტი მას არაფერს უშავებს, პირიქით.

**— ეთანხმებით იმას, რომ ქარტიაში ლამაზი სიტყვების მეტი არაფერი წერია და რეალურ საფუძველს არის მოკლებული?**

— მიმართულებები ასე თუ ისე არის, მაგრამ დეტალიზაცია ქარტიაში ვერ იქნებოდა. ავიღოთ თუნდაც ისეთი ნაწილი საზოგადოებრივი სფეროსი, როგორიც განათლებაა. გვპირდებიან კარგ განათლებას, ქარტია ამას იტევს, მაგრამ რა განათლებაზე იქნება ლაპარაკი? თვითონ ამერიკელს არ სჯერა, რომ მისი განათლების სისტემა არის სრულყოფილი. ამიტომ კეთილი უნდა ვინებოთ, ჩვენს ნიადაგზე მივიღოთ ის, რაც შეგვეფერება. ამის უფლება გვაქვს იმიტომ, რომ გაცილებით მეტს იღებს ამ ქარტიით ამერიკა, ვიდრე საქართველო.

**— როგორ ფიქრობთ, როდესაც ქარტია სააკაშვილსა და ბუშს შორის დაიდო, ობამა მას ყურადღებას მიაქცევს?**

— ამერიკის პრინციპული ინტერესები უცვლელია. ვინც თვალს ადევნებს პოლიტიკას ბოლო ათი წელი მაინც, მისთვის გასაგებია, რომ ამერიკა, პირველ რიგში საკუთარი თავისთვის ზრუნავს, არც ერთ ცენტს არ ხარჯავს ისე, რომ შედეგი არ მიიღოს. დემოკრატი მოვა თუ რესპუბლიკელი, ფერადკანიანი თუ თეთრკანიანი, ეს არაფერს ცვლის. ეს ქარტია უბრალოდ იყო უკვე წასული ხელისუფლების, გადამდგარი პრეზიდენტის კიდევ ერთი გამოძახილი.

ესაუბრა
**ანა წიწილაშვილი**

ინფორმაცია

## გვეიმედებოდეს ჰილარი კლინტონი?

**აშშ-ის სახელმწიფო მდივნობის კანდიდატმა ჰილარი კლინტონმა კონგრესში გამართულ შეხვედრაზე საქართველოსა და უკრაინის მიმართ რუსეთის დამოკიდებულებაზე ისაუბრა.**

**მომავალმა სახელმწიფო მდივანმა იმედი გამოთქვა, რომ ნატოსა და ევროკავშირის პარტნიორებთან ერთად, ამერიკა მოსკოვის მხრიდან მეზობელ სახელმწიფოებზე ზეწოლის შეჩერებას მოახერხებს .**



**ამასთან ერთად, ევროპისათვის გაზის შეწყვეტაზე საუბრისას, რიჩარდ ლუგარის კითხვაზე, არის თუ არა შექმნილი ვითარება ნატოს მეხუთე მუხლის დარღვევა, კლინტონმა უპასუხა, — ნებისმიერ შემთხვევაში ეს გამოწვევაა უსაფრთხოების სფეროში, რომელსაც მომავალში ჩვენ კიდევ ერთხელ წავაწყდებით.**

ჯი-ეიჩ-ენი

კრიზისის მარწუხები

# დემურ გიორხელიძე: როცა ეკონომიკურ ავანსცენაზე მთავარი მოთამაშე ხელისუფლებაა, ყველაფერი შეიძლება ძალიან ცუდი შედეგებით დასრულდეს

**„ენგურჰესთან“ დაკავშირებით რუსულ კომპანიასთან გაფორმებული მემორანდუმის ავკარგიანობისა და ეკონომიკური კრიზისის პირობებში ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკაზე, „ინტერპრესნიუსი“ ეკონომიკურ ექსპერტს დემურ გიორხელიძეს ესაუბრა.**



**— ბატონო დემურ, როგორ შეაფასებთ „ენგურჰესთან“ დაკავშირებით ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და იმ მემორანდუმს, რომელიც ქართულმა მხარემ „ინტერ რაო ეესთან“ გააფორმა?**

— კარგი იქნებოდა, რომ მემორანდუმი საჯაროდ ცნობილი ყოფილიყო. ამ შემთხვევაში ბევრი კითხვა ალბათ მოიხსნებოდა. ასეთი მემორანდუმები საერთაშორისო სტანდარტებით იდება და ყველა პირობა გაწერილი უნდა იყოს. პრობლემაც ის არის, რომ ამ მემორანდუმის შესახებ ჩვენ ბევრი არაფერი ვიცით და ხელისუფლების კომენტარებზე ვართ დამოკიდებული. ეს კომენტარები კი ხშირ შემთხვევაში ან ერთმანეთს არ ემთხვევა, ან კონტექსტიდან ამოგდებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამიტომაა, რომ საზოგადოებას ამ მემორანდუმთან დაკავშირებით ბევრი კითხვა უჩნდება.

**— თქვენ რა კითხვები გაგიჩნდათ?**

— უპირველეს ყოვლისა, მემორანდუმის პირობებთან დაკავშირებით. გარდა მაგისა, თუ აუცილებელი იყო ასეთი სტრატეგიული ობიექტის მართვის სხვისთვის გადაცემა, იქნებ ქართულ ბიზნესს აღმოაჩნდეს ასეთი ფული და აუცილებლად მოიძიებდა ქართული ბიზნესი ასეთ ფულს, რომ 90 წლით სამართავად აელო ასეთი ობიექტი. ხელისუფლებისაგან ამ ლოგიკის უგულებელყოფა არ მესმის.

**— ამ შემთხვევაში მგონი საუბარია 10 წლით სამართავად გადაცემაზე?**

— ჩემი ინფორმაციით, გაცილებით უფრო დიდ ვადაზეა საუბარი. ხედავთ არა, რომ ჩვენ ამ მემორანდუმზე სრულ ინფორმაციას არ ვფლობთ. სანამ შესაძლებელია, რომ ასეთ ობიექტებს ქართულმა ბიზნესმა მიხედოს, რატომ ხდება სხვაგან ფინანსების მოძიება? მე კარგად მესმის, რომ ფული ფულია, მაგრამ საქართველოში არსებობს უნიკალური პროექტები ქართული ენერგეტიკის განვითარებისთვის. ამ საკითხებისადმი მთავრობის სრული უყურადღებობა და იგნორირება ამუხრუჭებს უზარმაზარი პოტენციალის მქონე ქართული ენერგეტიკის განვითარებას. ამიტომაა, რომ ამგვარი სამთავრობო გადაწყვეტილებების მიმართ ჩვენ ყველას, უკმარისობის გრძნობა ერთნაირად გვიჩნდება.

**— იმ ვითარებაში, რომელშიც ახლა ქვეყანა იმყოფება „ენგურჰესთან“ დაკავშირებით, ენერგეტიკის მინისტრის ალექსანდრე ხეთაგურის განმარტებებში თითქოს საგანგაშო არაფერი უნდა იყოს?**

— ბუნებრივია, რომ რუსეთს ქართული ენერგეტიკის მიმართ ინტერესი აქვს. საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებისგან განსხვავებით, რუსეთში კარგად იციან ქართული ენერგეტიკისა და საქართველოს მეშვეობით მათი ენერგორესურსების ტრანსპორტირების შესაძლებლობები. ამიტომ არიან ისინი მონდომებული, რომ რაც შეიძლება მეტ ენერგოობიექტებზე დაამყარონ კონტროლი, ეს სულაც არ არის ცუდი, როცა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ნორმალური ხდება. ეს ხომ ორივე მხარის ინტერესებში შედის.

ის უზარმაზარი პრობლემა, რომელიც აგვისტოს მოვლენების შემდეგ გაჩნდა, მხოლოდ ეკონომიკური თანამშრომლობით შეიძლება გადაწყდეს. რუსეთთან ბიზნესურთიერთობები პოლიტიკური კუთხით უნდა იყოს განხილული, მაგრამ არსებობს კი ასეთი, რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების პოლიტიკური ხედვა? ასრულებს კი ამ კონტექსტიდან გამომდინარე ბიზნესი იმ საუკეთესო ფუნქციას, რომელმაც ჩვენ პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტამდე შეიძლება მიგვიყვანოს? ეს, რომ ასე არ არის, ამიტომაცაა, რომ მიიღება ერთჯერადი გადაწყვეტილებები, რომელიც გაურკვევლობაში ამყოფებს ყველას. ამიტომაცაა, რომ ჩვენ ვერ ვხედავთ ამგვარი გაყიდვა-გასხვისებით ქვეყნისათვის სარგებლობას.

**— „საქართველოს გზის“ ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა ენგურჰესთან დაკავშირებით გაფორმებული მემორანდუმით ხელისუფლება რუსეთთან გარიგებაში დაადანაშაულა. უკმაყოფილება სხვა ოპოზიციონერებმაც გამოთქვეს.**

— ასეთ ვითარებაში კმაყოფილი შეიძლება მხოლოდ ბრიყვი იყოს, გარდა რამდენიმე კაცისა მთავრობაში. ენგურჰესის მართვაში გადაცემასთან დაკავშირებით რეალურად რა ხდება, არავინ იცის. თუ ეს არის გონიერი გადაწყვეტილება, საზოგადოებას რატომ დროულად არ მიეწოდა ინფორმაცია.

ჩვენ რომ ვიცოდეთ, ხელისუფლებამ პოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე პოლიტიკური პროცესების ნორმალიზაციის მიზნით გადადგა გარკვეული ნაბიჯები, მაშინ შესაძლებელია გასაგები ყოფილიყო შეთანხმების დადებითი მომენტები. მაგრამ, თუ ესე არ არის და საქმე ეხება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ობიექტს სამხრეთ კავკასიაში, რომელსაც გაუგებარია რა ფორმით ასხვისებ, ოპოზიცია არ შეიძლება კმაყოფილი იყოს.



ეს გადაწყვეტილება დანახული და განხილული უნდა ყოფილიყო როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ კონტექსტში. ფსევდოლიბერალურ დოგმებს აყოლილი ხელისუფლება ისეთ გადაწყვეტილებებს იღებს, რომ ამ ქვეყნის ეკონომიკური პრობლემების მოგვარება და წელში გასწორება შეუძლებელი ხდება.

**— პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებით, ეკონომიკური კრიზისის პირობებში ქვეყნის ეკონომიკის მთავარი ინვესტორი სახელმწიფო გახდება. კრიზისის პირობებში, როგორ შეაფასებდით ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკას?**

— კრიზისის პირობებში მხოლოდ სახელმწიფოს აქტიურობა და დომინირება, რა თქმა უნდა, კარგი არ არის. ამის გაკეთება რომ არ შეიძლება და ამგვარი მიდგომა რომ ცუდი შედეგებით დასრულდება, მეორე კურსის სტუდენტმაც იცის. ამას მოჰყვება კორუფცია, რესურსების არარაციონალური გამოყენება, ფასების დამახინჯება და სხვა ბევრი რამ. ძალიან ცუდია, რომ ხელისუფლება არანაირ აქტიურობას არ აპირებს ბიზნესჯგუფებისთვის ხელის შესაწყობად, ბანკების ქმედითუნარიანობის უზრუნველსაყოფად, ბანკების მეშვეობით ქვეყანაში არსებული რესურსების მიზნობრივად გამოსაყენებლად. ვითარებაში, როცა ეკონომიკურ ავანსცენაზე მთავარი მოთამაშე ხელისუფლებაა, ყველაფერი შეიძლება ძალიან ცუდი შედეგებით დასრულდეს.

ხელისუფლების მიერ არჩეული გზით ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლა შეუძლებელია. ჩვენ 18 წელია კრიზისში ვართ და ვერ ვგრძნობთ იმ საშინელებას, რა მოჰყვა ევროპასა და ამერიკაში. კრიზისით შოკირებულია ყველა, მაგრამ ჩვენ შოკში ყოფნას მიჩვეული ვართ და მიგვაჩნია, რომ კრიზისი ჩვენზე არ მოქმედებს. არადა, კრიზისი ჩვენს განვითარებას მაქსიმალურად აფერხებს. ხელისუფლება ისეთ გადაწყვეტილებებს იღებს, რომ კრიზისიდან გამოსვლის გზა ხანგრძლივი იქნება.

**კობა ბენდელიანი**

◎ „ნეტარ არიან მორწმუნენი“

# რევოლუციური ვარდების ჭკნობა და „მსოფლიო კრიზისი“

*დეკემბრის ბოლოს, ახალი წლის წინა დღეებში, ქართული ბანკებიდან პერსონალის მასობრივმა გაშვებამ, რომელსაც სიტყვა „გამოყრა“ უფრო შეეფერება, ცხადად გამოაჩინა ქვეყანაში არსებული რეალური ეკონომიკური მდგომარეობა. ციფრები კი მანამდეც საკმაოდ მძიმე სურათს იძლეოდა: მაგალითად, ნოემბერში ბანკების საერთო ზარალმა 141 მილიონ ლარს გადააჭარბა. მათ მიერ წინა წლებში უხვად გაცემული კრედიტები, განსაკუთრებით იპოთეკური, სამშენებლო „პირამიდების“ „ჩამოშლასთან“ ერთად „აფეთქდა“. არასახარბიელო, რბილად რომ ვთქვათ, მდგომარეობა შეიქმნა ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სფეროში.*

დღეს საქართველოს ხელისუფლება და მის კონტროლს ქვეშ მყოფი მასმედია ყოველნაირად ცდილობს შექმნილი სიტუაცია ე.წ. მსოფლიო კრიზისს გადააბრალოს. ნიშანდობლივია, რომ მიზეზთა შორის თითქმის არ სახელდება აგვისტოს ომი, რითაც ხელისუფლება ირიბად აღიარებს მის მიერ ამ ომის წამოწყების ან მინიმუმ, თავის ვერარიდების ფაქტს. ეს რომ არა, დღეს უკვე ყურები გვექნებოდა გამოჭედილი სამთავრობო პროპაგანდით, რომ ვარდების რევოლუციით საფუძველჩაყრილი „თვალისმომჭრელი“ ეკონომიკური „სასწაული“ ბოროტმა და შურიანმა რუსულმა დათვმა დაანგრია (ან შეარყია მაინც, რადგან ქვეყანა ხომ „არ ჩამოიშალა“ძ.

სინამდვილეში, მსოფლიოში შექმნილ საკრედიტო და ეკონომიკურ კრიზისს შეიძლება მხოლოდ პრობლემების გარკვეული ნაწილი მივაწეროთ, მაგალითად ის, რომ მსოფლიო ბაზრებზე დაეცა ფეროშენადნობების, სასუქების და სპილენძის ფასი, რომლებიც საქართველოს ექსპორტში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. ასევე დაეცა რკინის და სპილენძის ჯართის ფასი და ამანაც შეამცირა ქართული ექსპორტის მოცულობა. მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ ამდენი ხნის განმავლობაში საქართველოდან უზარმაზარი რაოდენობის ჯართი გადიოდა, რაც ხშირად პირველ ადგილს იკავებდა საექსპორტო საქონელს შორის, ქვეყანაში გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის არარსებობას ადასტურებს. როგორც ცნობილია, მხოლოდ უგუნურთა ქვეყნიდან შეიძლება წლების განმავლობაში გადიოდეს მილიონობით ტონა ჯართი, როცა მეტალურგიული წარმოება ჩამკვდარია, ამავე დროს მშენებლობის ბუმია და ასევე მილიონობით ტონა სამშენებლო არმატურა მეზობელი ქვეყნებიდან შემოდის. თუმცა, ეს უკვე წარსულია (იგულისხმება ე.წ. სამშენებლო ბუმიძ. ბოლოს, 2008 წელს როგორც იქნა ამუშავებული რამდენიმე ლითონწარმოება პრაქტიკულად შეკვეთების გარეშე დარჩა... ეს ბედის ირონია არაა, ეს იმის ნიშანია, რომ ქვეყანაში არ არსებობდა და არ არსებობს თავისუფალი და სწორად გააზრებული ბიზნესგარემო და არც სახელმწიფო იწუხებს თავს პრიორიტეტული მიმართულებების ხელშეწყობით, ისევე როგორც გრძელვადიანი დაგეგმვით.

მთავარი მაინც ისაა, რომ საქართველოს ხელისუფლება კომპრადორულია თავისი არსით. მისი იდეოლოგია იმპორტის ყოველმხრივ წახალისებას გულისხმობს, ექსპორტი და იმპორტჩანაცვლება კი საერთოდ არ წარმოადგენს პრიორიტეტს. 2005-2008 წლების საკრედიტო ბუმის პირობებში, როცა დასავლეთის საფინანსო ბაზრებიდან ქართული ბანკები შედარებით იაფ და დიდ საკრედიტო რესურსებს მოიზიდავდნენ, მათი ლომის წილი გაიცა სამომხმარებლო კრედიტებზე, ანუ მოხმარდა იმპორტის სპირალის შემდგომ ზრდას. შედეგად, გასული წლის შემოდგომისთვის, სანამ კრიზისი საერთაშორისო ვაჭრობას მკვეთრად დასცემდა, საქართველოს იმპორტი, წლიური გაანგარიშებით, 7 მილიარდ აშშ დოლარს მიუახლოვდა და 4-ჯერ აღემატებოდა ექსპორტს. საგარეო ვაჭრობის დეფიციტმა 5 მილიარდ დოლარს მიაღწია. მკვეთრად გაიზარდა მიმდინარე ბალანსის დეფიციტი, რომელიც აქამდე სპეკულაციური კაპიტალის შემოდინებით ბალანსდებოდა, ისევე როგორც შრომითი მიგრანტების გადმორიცხვებით. უახლოეს წლებში ამგვარი კაპიტალის შემოსვლა, მათ შორის ე.წ. პრივატიზაციის სახით, არარეალურია, რისი ჩანაცვლებაც ამჟამად მხოლოდ ე. წ. დონორების დახმარებით თუ მოხერხდება. თუმცა, დონორების დახმარების ხარჯზე არსებობის პერსპექტივა საკმაოდ პესიმისტური ჩანს საქმეში ჩაუხედავი ადამიანებისთვისაც. მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომ, საკუთარ ტყავზე გამოსცადა სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარების „სიამოვნებანი“ წინა ათწლეულებში და უახლოეს წლებში. დღესაც, საქართველოს საბანკო სისტემის საზედამხედველო სამსახურის უფროსად მუშაობს სავალუტო ფონდის მისიის ყოფილი შეფი საქართველოში, ვინმე ბ-ნი კრისტიანსენი (თავისთავად საოცარი ფაქტია უცხოელი მოქალაქის ყოფნა ამგვარ თანამდებობაზეძ, რაც თვით მეტისმეტად პროდასავლურად განწყობილი ექსპერტის, ს. ცისკარიშვილის აღშფოთებასაც კი იწვევს.

საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის იდეოლოგია, თუკი ამგვარი არსებობს, ასევე გამოიხატება ექსპორტისთვის მისი ბუნებრივი გეოგრაფიული არეალების, გასაღების ბაზრების დაბლოკვით და ძირის გამოთხრით. მთავარ ასპარეზს ქართული წარმოებისთვის ორი საუკუნის განმავლობაში წარმოადგენდა რუსული ბაზარი, რომელიც სააკაშვილის და მისი რეჟიმის რუსოფობული რიტორიკის და რუსეთისადმი მტრული გამოხტომების წყალობით დღეს დახურულია. სამაგიეროდ, ევროკავშირმა „ფართოდ“ გაუღო კარი ქართულ პროდუქციას, როცა GSP+ საფუძველზე 7200 დასახელების საქონელს სავაჭრო პრეფერენციები დაუწესა იმპორტის დროს. მაგრამ სხვადასხვა სახის მკაცრი რეგულაციები, ევროკავშირის ბაზარში შეღწევის სირთულე ქართული ბიზნესისთვის, არ იძლევა უახლოეს ათწლეულებში რუსული ბაზრის ევროპულით ჩანაცვლების საშუალებას. კიდევ უფრო უტოპიურია ბოლო დღეებში ფართოდ რეკლამირებული „გარღვევის“ უპირატესობანი ქართულ-ამერიკული „სტრატეგიული თანამშრომლობის“ გზაზე, კერძოდ, „თავისუფალი ვაჭრობის“ რეჟიმის სიტყვიერი დაპირება ე. წ. ქარტიის ტექსტში. მხოლოდ ერთი მაგალითი: მიუხედავად მრავალწლიანი მცდელობისა, ქართული ღვინის ექსპორტი აშშ-ში ვერა და ვერ გასცდა ნახევარ მილიონ ბოთლს წელიწადში, მიუხედავად ღვინის ხარისხის გარკვეული გაუმჯობესებისა და არც ახლო პერსპექტივაშია მოსალოდნელი რაიმე სერიოზული ზრდა. ცნობისათვის: რუსეთის ფედერაციაში, ოფიციალური მონაცემებითაც კი, დაახლოებით ასჯერ მეტი გადიოდა.

საქართველოს ხელისუფლებას არ აინტერესებს რეგიონალური თანამშრომლობა ისეთ პერსპექტიულ ქვეყნებთან, როგორიცაა, მაგალითად, ირანი. ამ ქვეყანასთან ვაჭრობა, ინვესტიციები და სხვა ეკონომიკური კონტაქტები თითქმის ნულის დონეზეა, ყოველ შემთხვევაში, ოდნავადაც არ შეესაბამება არსებულ პოტენციალს. არც ირანში არსებული გასაღების ბაზარი, არც მისი სამრეწველო თუ აგროპროდუქცია, არც შესაძლო ინვესტიციები არ იპყრობს საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების ყურადღებას. თვით ისეთი უდიდესი პროექტიც კი, როგორიცაა ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო დერეფანი, რომლის ნაწილმა საქართველოზეც შეიძლება გაიაროს, თუკი იქნებოდა რუსეთთან და ირანთან თანამშრომლობა, არ იწვევს მასშტაბური სატრანსპორტო პროექტების მეხოტბე ხელისუფლების დაინტერესებას, რომელიც ქვეყნის ხსნას სატრანზიტო „დერეფნად“ გადაქცევაში ხედავს. კერძო ბიზნესი კი იმდენად დაშინებული და დათრგუნულია, რომ ფიქრსაც ვერ ბედავს იმ მიმართულებებით, რამაც შეიძლება ხელისუფლების უკმაყოფილება გამოიწვიოს. უკმაყოფილება კი ნამდვილად იქნება, ოღონდ საკითხავია, საქართველოს ხელისუფლების თუ მისი დასავლელი, პირველ ყოვლისა, ამერიკელი „კურატორების“ მხრიდან. მათი ნებართვის გარეშე ამჟამინდელი რეჟიმი ნაბიჯსაც ვერ გადადგამს (გამონაკლისია მხოლოდ არანაკლებ რეალური ძალის, რუსეთის მიმართ იძულებითი დათმობებიძ. არც არის გასაკვირი: ეკონომიკურმა პოლიტიკამ საქართველო და ქართული ბიზნესი ფაქტობრივად ვალების ორმოში ჩააგდო. საგარეო ვალის საერთო მოცულობამ, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის მიხედვით, 2008 წლის ივნისისთვის 6,7 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. ახლანდელი სიტუაციის გათვალისწინებით, როცა ეკონომიკის „არჩამოშლისთვის“ ახალი მასშტაბური უცხოური დახმარება, მათ შორის კრედიტებია საჭირო, ეს ციფრი 7-8 მილიარდს მიაღწევს უახლოეს მომავალში. საერთაშორისო რეზერვები კი მხოლოდ 1,4 მილიარდი დოლარია და თითქმის ნახევარი მილიარდით შემცირდა 2008 წლის დასაწყისიდან.

**საქართველოს ხელისუფლება არ აპირებს არსებული „კურსიდან“ გადახვევას. დღესაც, საერთაშორისო სპეკულაციური კაპიტალის ყველა განვითარებადი ქვეყნიდან გადინების შემდეგ, რამაც საბანკო სამომხმარებლო კრედიტების ბუმი დაასრულა, არავინ ფიქრობს რეალური სექტორის, სოფლის მეურნეობის წარმოების და გადამუშავების განვითარებაზე.** გრძელდება დაუსრულებელი, პომპეზური „პიარ“ პროექტების ხანა. შადრევნები და ფასადები „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ მაგისტრალმა შეცვალა, რაზეც უახლოეს წლებში ასეულობით მილიონის ეკვივალენტი უცხოური კრედიტებია გამოყოფილი. მსგავსი პროექტები ოდნავადაც ვერ წყვეტენ დასაქმების და, რაც მთავარია, სტაბილური წარმოების პრობლემებს და მხოლოდ ხელისუფლების რეიტინგის ხანმოკლე აწევას ემსახურებიან, ისევე როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების მმართველი ბიუროკრატების მიერ საეჭვო ფინანსური ოპერაციების განხორციელებას. **არ ვიცით, იქნებ ამჟამინდელ რეჟიმს იმედი აქვს და სჯერა, რომ ახლადდაგებული ბეტონის გზატკეცილით საქართველოში ნატოს სატანკო კოლონები შემოგრიალდებიან და ცხინვალს მიადგებიან ასაღებად? ამ შემთხვევისთვის ნამდვილად არ გამოდგება ბიბლიური გამოთქმა „ნეტარ არიან მორწმუნენი“.**

გიორგი ვეკუა



◎ პარტიებსა და მოძრაობებში

# ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხიდან ყველაზე ცოტა გაერთიანებულ ოპოზიციას ერგო

**ბოლო საპარლამენტო არჩევნებს გაერთიანებული ოპოზიციის დიდმა ნაწილმა ბოიკოტი გამოუცხადა, ახალი პარლამენტი არალეგიტიმურად სცნო და პარლამენტის შენობის წინ მანდატებიც დემონსტრაციულად დაჭრა, ასევე მოიქცნენ ლეიბორისტები, თუმცა მათი დაწერილი ორაზროვანი განცხადების შინაარსის გამო, პარლამენტმა შრომის პარტიის წევრებს უფლებამოსილება ვერ შეუწყვიტა, შესაბამისად, ისინი ჩვეულებრივ დეპუტატები არიან და ხელფასსაც წესისამებრ იღებენ.**

პროტესტი მხოლოდ გაერთიანებული ოპოზიციისთვის იქცა ნამდვილ პროტესტად, თუ არ ჩავთვლით იმ რამდენიმე წევრს, რომლებმაც ვერ გაუძლეს დეპუტატის კეთილდღეობის ცდუნებას და სავარძლებიც მშვენივრად მოირგეს.

გაგულისებულმა ხელისუფლებამ მეტოქეებს უარესი სასჯელი მიუვლინა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ აღებულ ვალდებულებას ხაზი გადაუსვა: ბარიერგადალახულ პარტიებს დაფინანსება შეუწყვიტა, რის გამოც მოგვიანებით დიდი საყვედური დაიმსახურა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ.

ამიტომაც 30 დეკემბერს პარლამენტმა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში დამატებები და ცვლილებები შეიტანა და პარტიებს დაფინანსება აღუდგინა. თუმცა დაკარგული თვეების თანხებს არ აუნაზღაურებენ.

ორგანული კანონის მიხედვით, ბიუჯეტიდან თანხებს მიიღებენ ის პარტიები, რომლებმაც უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში გადალახეს ოთხპროცენტიანი ბარიერი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში – სამპროცენტიანი ბარიერი.

პარტიების მისაღები საბიუჯეტო დაფინანსების ოდენობა წელიწადში 150 ათასი ლარია, ხოლო ვინც რვაპროცენტიანი ბარიერი გადალახა (ასეთი კი ნაციონალური მოძრაობა და გაერთიანებული ოპოზიციააძ, დაფინანსების ოდენობა 300 ათასი ლარია.

იხ. 4 გვ.

№ 7. ხუთშაბათი, 15 იანვარი, 2009 წელი.

◎ პარტიებსა და მოძრაობებში

# ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხიდან ყველაზე ცოტა გაერთიანებულ ოპოზიციას ერგო

(მესამე გვერდიდან)

ამ თანხებს ემატება პროპორციული სისტემით არჩეული 30-მდე, პროპორციული სისტემით არჩეული 30-ს ზემოთ პარლამენტის წევრთა, ასევე 200 ათასამდე და ზემოთ მიღებული ამომრჩევლის ხმების რაოდენობა.

ახალი კანონის მიხედვით, დაფინანსება აღუდგება გაერთიანებული ოპოზიციის ექვს პარტიას, რომლებიც საბაზრო დაფინანსებას თანაბრად გაიყოფენ „ქართულ დასთან“ და „ჩვენ თვითონთან“ ერთად. ეს თანხა თითოეული პარტიისთვის 33 ათას 333 ლარს შეადგენს, ასევე თანაბრად გაიყოფენ ხმების მიხედვით მიღებულ თანხას, რომელიც 46 ათასი ლარია. ახალი კანონის თანახმად, საბიუჯეტო დაფინანსების გარდა, სპეციალურ ფონდში ყოველწლიურად ჩაირიცხება თანხა პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განსავითარებლად. ფონდიდან თანხის გაცემა მოხდება ყოველკვარტალურად კვლევების, სწავლების, კონფერენციების, მივლინებებისა და რეგიონული პროექტების დაფინანსების მიზნით. ამისათვის გაერთიანებულ ოპოზიციაში შემავალ პარტიებს წელიწადში 23 ათასი ლარი გამოეყო, 106 ათასი ლარი — ლეიბორისტულ პარტიას, რესპუბლიკელებს, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ და კონსერვატორებს, ხოლო ნაციონალურ მოძრაობას — 213 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ახალი კანონის მიხედვით, ნაციონალებს 108 ათასი ლარი მოაკლდებათ და სულ მიიღებენ 2 მილიონ ლარზე მეტს. ლეიბორისტების დაფინანსება ხმათა რაოდენობის მიხედვით, სადეპუტატოსა და საბაზისოს მიხედვით — 391 ათას ლარზე ოდნავ მეტია, ქართული დასის 86 ათასი ლარი, პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონ“ 93 ათას ლარს მიიღებს, ქრისტიან-დემოკრატები — 573 ათას ლარს, რესპუბლიკელები და კონსერვატორები — 248 ათას ლარს, ხოლო „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ — 239 ათას ლარს.

პარტიები, რომელთაც დაფინანსება ამ თვიდან აღუდგათ, წელიწადში სულ 102 ათას 407 ლარს მიიღებენ, რაც თვეში 8 ათას 600 ლარს შეადგენს, თუმცა, როგორც ცესკოს საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი ლატარიამ აღნიშნა, პარტიებს თანხმობის განაცხადით ჯერ არ მიუმართავთ. 31 იანვრამდე ამის შესაძლებლობა ჯერ კიდევ აქვთ, თუმცა ამ ვადის გასვლისა და ცესკოს გაფრთხილების შემდეგაც თუკი არ გაამზადებენ თანხმობის ტექსტს, დაფინანსება საბოლოოდ შეუწყდებათ.

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ნუსხაში ყველაზე მდიდრულად, რა თქმა უნდა, ნაციონალური პარტია გამოიყურება — 2 მილიონი ლარი, რომელსაც ქრისტიან-დემოკრატები მოსდევენ — 786 ათას 651 ლარით, მესამე ადგილს ლეიბორისტები იკავებენ 497 ათას 338 ლარით. ყველაზე მოკრძალებული ადგილი ამ სიაში სალომე ზურაბიშვილის, კობა დავითაშვილის, კოკო გამსახურდიას, ირაკლი ოქრუაშვილის პარტიებს, მემარჯვენეებსა და ეროვნულ ფორუმს უკავიათ — თანაბარი 102 ათას 407 ლარით, თუმცა ამაზეც დროულად თუ არ მიმართეს ცესკოს, შესაძლოა კვლავ ჩალაგამოვლებული დარჩნენ...

**თეა მოსია**

◎ ინფორმაცია

## აღმოფხვრიან საქართველოს მხრიდან გაზის ბლოკადას

**სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რესპუბლიკის ბუნებრივი აირით მომარაგების საკითხი განიხილეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ელჩმა რუსეთში დიმიტრი მედოევმა.**

**როგორც კარასინმა განაცხადა, იდგმება ნაბიჯები, რათა დასრულდეს საქართველოს მხრიდან სამხრეთ ოსეთის გაზით მომარაგების ბლოკადა.**

**მან იმედი გამოთქვა, რომ რეგიონში ეუთოს წარმომადგენლის ჩასვლა დააჩქარებს რუსული გაზის ცხინვალში მიწოდების განახლების საკითხის გადაწყვეტას.**

**— ხაზი გაესვა იმას, რომ რუსეთმა დასავლელი პარტნიორების წინაშე არაერთხელ დააყენა საკითხი, რომ დაუშვებელია ბუნებრივი აირით სამხრეთ ოსეთის მომარაგების საკითხის პოლიტიზება, — აღნიშნულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციაში.**

## ახალ წელს კომპანიები ახალი დირექტორებით ხვდებიან

**„საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ და „იორის ველი — ნავთობი და გაზს“ ახალი გენერალური დირექტორები ჰყავთ.**

**როგორც ნავთობისა და გაზის კორპორაციიდან იტყობინებიან, „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ მამუკა კობახიძე უხელმძღვანელებს, კომპანია „იორის ველი — ნავთობი და გაზის“ გენერალური დირექტორი კი ლევან გვაზავა იქნება.**

**გაზის ტრანსპორტირების კომპანიის გენერალური დირექტორი გრიგოლ ნატროშვილი იყო, ხოლო „იორის ველი — ნავთობი და გაზის“, — ბექა ოდიშარია.**

ინტერპრესნიუსი

◎ რა დღეშიც ვართ

# ინფლაციამ თავი სახლიკაცივით „შეგვაყვარა“

## მიშას არ სურს, რომ ოპოზიციას თავისი ჩამოგდება ასწავლოს

***ვიდრე მიშას სურვილებზე რამეს ვიტყოდეთ, ალბათ, უპრიანი იქნება პირველ რიგში ინფლაციის სურვილები გავითვალისწინოთ, რომელმაც ბოლო წლებში თავი მართლაც სახლიკაცივით „შეგვაყვარა“. შეიძლება ასეთი შედარება გადაჭარბებულიც იყოს იმის ფონზე, რომ ინფლაციას სიყვარულის ნაცვლად უფრო ხშირად ჩვენს ოჯახურ ფინანსებში ცხვირის ჩაყოფა და იქ უბოდიშო ხელის ფათური ეხერხება. ვინ მოთვლის რამდენჯერ წაგვისწრია მისთვის მაღაზიებში, ბაზრებსა და კაფე-რესტორნებში „ჯიბის ქურდობაზე“, კორუფციულ გარიგებებზე, სხვა უამრავ მაქინაციებზე, რითაც საკუთარ კისერს ბენდუქიძესავით ისქელებს, საწყალი ხალხის შემოსავლებს კი ლურსმანგაყრილი საბურავივით ჩუტავს.***

საქართველოს „ნაცმთავრობას“ ინფლაციასთან მწყრალობას ვერ დავაბრალებთ. ის არა მარტო იცნობს ინფლაციას, ცალი ხელით და სხვათაგან უხილავად მის დაფინანსებასაც ახერხებს, მაგრამ არა საკუთარი სახსრებიდან და ჯიბიდან, რა თქმა უნდა. მან (მთავრობამ) საკმარისია ამ ყალთაბანდ და უტიფარ პერსონას (ინფლაციას) საკუთარ სამზარეულოში ან ფულით გატენილ სეიფთან თვალი დასცხოს, რომ მაშინვე გარეთ იპინტრიშებს, წიხლსაც უთავაზებს და საკნატუნოდ უგროშოდ დარჩენილი მოსახლეობის კიდობანისკენ ისტუმრებს.

ერთი ასეთი მაკნატუნას როლი ხელისუფლებამ ამ ცოტა ხნის წინათაც გაითამაშა, როცა ლარის კურსი ერთბაშად 18 პროცენტით შეგნებულად გააუფასურა და ქვეყნის მოსახლეობის ისედაც გაუფასურებულ ცხოვრებას სიღარიბის მორიგმა შტორმმა გადაუარა. ზოგმა ექსპერტმა მთავრობის ეს „ისტორიული“ ღონისძიება მძიმე ომის მომდევნო პერიოდში ინფლაციის მორიგ წახალისებად აღიქვა, ზოგმა — თავად მთავრობის წევრთა წახალისებად (ირწმუნებიან, დიდ თანხებს გამოჰკრეს ხელიო!). ყოველ შემთხვევაში კარგია, რომ ვიღაცა „წახალისდა“, თანაც ისე, რომ როგორც ხელისუფლება ამტკიცებს, არავინ დაზარალდა. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ სტატისტიკის დეპარტამენტმა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც „დიდი სიზუსტით“ იმუშავა და გასული წლის ნოემბერში წლიური ინფლაციის 6,3 პროცენტამდე შემცირება დააფიქსირა.

გამართლდა მთავრობის „შორსმჭვრეტელი“ პროგნოზი: მართალია ეროვნული ვალუტა საკუთარ სურვილზე მივუშვით, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკა იმდენად ძლიერია, რომ ფასების გაქცევის არავითარი საფუძველი არ არსებობსო. თქვენ წარმოიდგინეთ, არც ისე უტვინო გამოდგა მთავრობა, როგორც გვეგონა, ფასები კი გაიქცა (ლარის გაუფასურებისთანავე საკვებ პროდუქტებსა და მედიკამენტებზე ფასებმა მყისიერად 20-25 პროცენტით მოიმატა), მაგრამ ეკონომიკა იმავე ადგილზე დარჩა. რაც არა გვქონდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, რა მოაკლდებოდა ან რა მოემატებოდა(?!).

დიდი ძვრების მიუხედავად, რაც რუსეთ-საქართველოს ომმა და მსოფლიო გლობალურმა კრიზისმა გამოიწვია, საქართველოში ეკონომიკა და მთავრობა კვლავაც უცვლელი დარჩა. ვერაფერს იტყვი, მკვდარი მკვდარს აეკიდაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი(!).

და მაინც, ინფლაცია ისეთი მამაძაღლი ვინმეა, ერთ ადგილზე გაყინული და მთავრობის მიერ განსაზღვრული 8 პროცენტის ნაცვლად სულ აღმადალმა დახტოდა. გასული წლის თებერვალში, მაგალითად, წლიურმა ინფლაციამ — 0,2 პროცენტით მოიმატა და საბოლოოდ — 10,9 პროცენტი შეადგინა. ივნისში — 0,1 პროცენტი, ხოლო ივლისში — 1,2 პროცენტი თვიური დეფლაცია დაფიქსირდა, რამაც გავლენა წლიურ ინფლაციაზეც იქონია და მან შესაბამისად დასახელებულ თვეებში 11,3 და 9,8 პროცენტი შეადგინა. ის იყო კლების ტენდენცია შეიმჩნა და ბედად მთავრობის „წინდახედულობის“ წყალობით ომიც წამოგვეწია, ინფლაცია ისევ გაექცა ხელისუფლებას და 12,8 პროცენტიან ნიშნულს მიაღწია.

მაგრამ მოხდა მორიგი სასწაული, რაც იმაში გამოიხატა, რომ მთავრობამ ქამარი თავად კი არა, ქვეყნის მოსახლეობას და თავის ყურმოჭრილ ყმას — სტატისტიკის დეპარტამენტს შემოუჭირა. ამ უკანასკნელსაც რა ექნა, ინფლაციობანას შოუბიზნესში იმდენად გაიწაფა, რომ ინფლაციის წლიური მაჩვენებელი სექტემბერში 10,6 პროცენტამდე, ხოლო ნოემბერში, როგორც უკვე ვთქვით, 6,3 პროცენტამდეც კი შეამცირა. ამის წარმოდგენა, რა დაგიმალოთ და, როგორც ერთმა ჩემმა კოლეგამ შენიშნა, თავის დროზე ალბათ მიუნჰაუზენსაც კი ძალიან გაუჭირდებოდა.

მაგრამ, ის რაც აღემატებოდა მიუნჰაუზენის ფანტაზიას, დღეს ალბათ კოჭამდეც ვერ შესწვდება საქართველოს ხელისუფლების მიერ შექმნილ ვირტუალურ ზმანება-რეალობას, რომლის მიხედვითაც ქვეყანა რუსეთ-საქართველოს ომიდან, მტრებს რომ ეგონათ, მიწისაგან პირისა აღიგავებოდა, გამარჯვებული გამოვიდა, გლობალურ კრიზისს, რომელიც მსოფლიო ეკონომიკას გამოხვრით ემუქრება, საქართველომ მოსწრებულად გვერდი აუარა, ცოტა სიღარიბე და უმუშევრობაღა შემოგვრჩა და ამასაც მთავრობის გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით რამდენიმე თვეში გავაიმასქნეთ.

ინფლაცია? ჩაივლის ეს შობაახალწლის დღესასწაულები და ისიც აღარავის ეხსომება. ან რა დასამახსოვრებელია გოჭის (150-200 ლარი), ინდაურის (60-100 ლარი), ნიგვზის (25 ლარი) და სხვა ამგვარ პროდუქტთა საახალწლო ფასები. იმ პერიოდში სხვა ხანძრებით იყო დაკავებული სპეცმანქანები, თორემ ქალაქის მერიისთვის საბაზრო ხანძრის ჩაქრობა რა პრობლემას წარმოადგენდა. თუმცა ბაზრის სიძვირის პრობლემამ სხვა პრობლემის მოგვარებას წააშველა ხელი — ხელისუფლებამ შექმნილი ვითარებით ისარგებლა და საახალწლო საჩუქრების (გოჭ-ინდაურ-შამპანურების) ჩამორიგებით ერთ დროს თავისგან შერისხულ-ჩარეცხილი ინტელიგენციის ნაწილი „შემოირიგა“.

ერთადერთი, ვისი გულის მოლბობაც ვერ შეძლო ხელისუფლებამ, პარლამენტს გარეთ დარჩენილი ოპოზიცია და ღარიბ-ღატაკი, ულუკმაპუროდ და უმუშევრად დარჩენილი მოსახლეობაა. თუმცა ჩვენი ამპარტავანი და თავკერძა პრეზიდენტი არც ამ შემთხვევაში იჩენს დაბნეულობას. „მე რომ ოპოზიციაში ვყოფილიყავი, — ამბობს



მიხეილ სააკაშვილი, უცხოური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში, — ამ მთავრობას 3 თვეში დავანგრევდიო“. კითხვაზე თუ როგორ, იქვე განმარტავს: „ვიცი როგორ, მაგრამ არ მინდა ოპოზიციას ვასწავლოო“.

ეს კი აღარ მომეწონა!

თქვე კაი მამულიშვილო და ერისკაცო, თუკი მართლა ხართ ერისკაცი და თანაც თავკაცი, რატომ არ გინდათ თქვენზე „სუსტ ოპონენტებს“ რამე ასწავლოთ, მით უფრო ქვეყნის დამანგრეველი მთავრობის დანგრევა? და თუ მაინც და მაინც სწავლება არ გეხერხებათ, ადექით და თავად გადადექით! ამით, როგორც ხშირად გიყვართ ხოლმე თქმა, ორ კურდღელს დაიჭერთ — თავსაც გაითავისუფლებთ მძიმე ტვირთისგან და ქვეყანასაც დაასვენებთ.

ქენით სიკეთე, ბატონო პრეზიდენტო!

**ოთარ ხუციშვილი**

## მწარე სინამდვილე

# უმადურობა და პოლიტიკური პროვინციალიზმი

**დიდი ხანია რაღაც უბედურება დაგვემართა ქართველებს. ისე ადვილად შეველევით ხოლმე ჩვენს მასახელებელ ადამიანებს, ისე მალე დავივიწყებთ მათ ღვაწლსა და ამაგს, რომ თითქოს არც ყოფილან და არც არაფერი არ გაუკეთებიათ საქართველოსთვის. ერთი თაობის გულგრილობა მეორეზე გადადის, მეორის მესამეზე და ბოლოს ხსოვნიდანაც ქრება მათი სახეები. ქართველები გრძნობის ხალხი ვართ. უცბად ავღელდებით, ავტეხთ განგაშს, დავხარჯავთ აუარებელ სიტყვას და მალე ყველაფერს ისე ვივიწყებთ, თითქოს არც აღტაცება ყოფილა, არც ტკივილი — წერდა ახმეტელი.**

ნიჭის გაფრთხილება და დაფასება მანამდე არ ვიცით, სანამ უცხოეთში არ აღიარებენ, ჩვენი შეფასების კრიტერიუმი უცხოელთა შეფასებაზეა ორიენტირებული. უცხოეთში აღიარებული ქართველი ჩვენი კერპია, თუნდაც მას უშუალოდ არაფერი არ ჰქონდეს გაკეთებული საქართველოსათვის. იყო დრო, როდესაც გენიალურ მსახიობს ვასო აბაშიძეს მთელი თაობები ოვაციას უმართავდნენ, მაგრამ 1916 წლისათვის უკვე „სრულიად უპატრონო, დასუსტებული ვასო აბაშიძე ქართველ საზოგადოებას აღარ აინტერესებდა, არც მისი ბედი, არც მისი სულიერი განწყობილება“, — ამას წერდა სანდრო ახმეტელი, რომელიც მაშინ რეჟისორი არ იყო. მისი აზრით, ვასო აბაშიძე **„საქართველოდან ადრევე რომ წასულიყო და თავისი დიდებული ნიჭი რომელიმე უცხო ქვეყნის სცენისათვის შეეწირა, ჩვენ, ქართველები ვასოს ფეხქვეშ გავეგებოდით და რაც გვებადა მას წინ გადავუშლიდით, სწორედ მაშინ იქნებოდა ჩვენთვის დიდებული კაცი, გოლიათი ხელოვნებისა და საცა ხმა მიგვიწვდებოდა ყველგან და ყოველთვის ვიამაყებდით, თავს მოვიწონებდით მისით“.**

ახმეტელმა ზუსტად შენიშნა, ჩვენი დიდი ხელოვანის ბედი და ქართველი საზოგადოების გულმავიწყობა და გულგრილობა. ახმეტელი ასკვნის: **„საუბედუროდ ვასოსათვის და საბედნიეროდ ჩვენთვის, ვასო სამშობლოს არ გაექცა, დიდებას და პატივს მან არჩია ტანჯვა-ვაება და მთელი თავისი სიცოცხლით სავსე ნიჭი შეალია ქართულ ხელოვნებას“.** პირველ რიგში სწორედ ასეთ მოღვაწეებს უნდა ვუფრთხილდებოდეთო.

როგორ თანამედროვედ ჟღერს გენიალური რეჟისორის სიტყვები. ის, რაც არ იქმნება შენი ხალხისათვის, რაც არ ემსახურება უშუალოდ შენს ხალხს, სხვა **ყველაფერი საქართველოსთვის დაკარგული კულტურაა.**

ასეთია მწარე სინამდვილე.

საქართველოს ბევრმა შვილმა, წარმოშობით ქართველმა ხელოვანმა თუ პოლიტიკოსმა მთელი სიცოცხლე საზღვარგარეთ გაატარა, **სხვა ქვეყანას მოახმარა თავისი ნიჭი,** იმ ქვეყნის კულტურისა თუ სხვა ასპარეზის ორგანული ნაწილი გახდა. რა თქმა უნდა, ჩვენ, ქართველებს უნდა გვახარებდეს ასეთი ადამიანების წარმატებები, რადგან ქართული გენია, ქართული ჯიშია. ჯეროვნად უნდა დავაფასოთ ისინი, ვინ იცის ბედის უკუღმართობისა თუ სხვა მიზეზის გამო რამდენი ქართული გენი გაბრწყინებულა სპარსეთსა თუ თურქეთში. აშშ-სა თუ საფრანგეთში, რუსეთსა თუ სხვა ქვეყნებში. ვამაყობთ, როცა მათი წარმატებების შესახებ გვესმის, მაგრამ რა დააშავეს იმათ, რომლებიც, ახმეტელის თქმისა არ იყოს, **„სამშობლოს არ გაექცნენ“ და მთელი სიცოცხლე შესწირეს ქართულ კულტურას,** მთელი შემოქმედება მოახმარეს თავის ხალხს. განა დიდი ისტორიული უსამართლობა არ არის, **თუ ასეთი ხელოვანის დაფასებას და პატივს ჩავანაცვლებთ იგივე პროფესიის ისეთი მოღვაწით, რომელიც მთელი სიცოცხლე უცხოეთს ემსახურა?**



ვიდრე მინიშნებულ ამ აზრს გავხსნიდეთ, ერთი ამბავი უნდა გავიხსენო თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ისტორიიდან.

1958 წლის გაზაფხულზე მოსკოვში მოეწყო ქართული კულტურის დეკადა. ამ მოვლენას წინ უძღოდა 1956 წლის 9 მარტის დიდი ტრაგედია. **რუსეთის საბჭოთა იმპერიამ მკაცრად დაგვსაჯა ქართველები ანტისაბჭოთა მიტინგებად** მიჩნეული გამოსვლებისათვის, რომელიც სანაპიროზე სტალინის ძეგლთან იმართებოდა, მე იმ მიტინგების უშუალო მონაწილე ვიყავი და იმ სროლაშიაც მოვყევი, კავშირგაბმულობის შენობის ფანჯრებიდან რუსი ჯარისკაცები ავტომატებიდან რომ გვესროდნენ მშვიდობიან ხალხს.

ეს იყო შოკი, ამას მოჰყვა ქუთაისის ქართული დივიზიის დაშლა, ქართველი ოფიცრების სამსახურებიდან გათავისუფლება, მთელს საბჭოთა კავშირში თითქმის ყველა პასუხსაგები თანამდებობიდან გაანთავისუფლეს ქართველები. ქართველებისადმი ხრუშჩოვის სიძულვილს საზღვარი არ ჰქონდა. გვსჯიდნენ სტალინისა და ბერიას გამო, თითქოს სტალინის მიერ არ შექმნილა რუსეთის ისტორიაში ყველაზე მძლავრი მოდერნიზებული საბჭოთა იმპერია. ანტიქართული ატმოსფერო რუსეთში საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. მაშინ დეკადის მონაწილეები ვიყავით მე და ჩემი მეგობარი ნოდარ გურაბანიძე. როცა სასტუმროში („უკრაინა“ძ და ქუჩაში გვაჩერებდნენ რუსები და გვთხოვდნენ ბილეთებს ვახტანგ ჭაბუკიანის ოტელოზე დასასწრებად. ბედნიერი იქნებოდა, ვინც ერთ ბილეთს მაინც იშოვნიდა, ჩვენ კი ეროვნული სიამაყის გრძნობით ვეუბნებოდით უარს. მთელი მოსკოვი იმას ლაპარაკობდა, რომ **ქართულმა კულტურამ დაიპყრო მოსკოვიო.**

ამას უპირველესად ვ. ჭაბუკიანის ოტელოსა და რუსთაველის თეატრის „ოიდიპოს მეფის“ გამო ამბობდნენ. დიახ, ჩვენი კულტურით დავიპყარით რუსები, სხვა რა საშუალება გვქონდა.

**ვახტანგ ჭაბუკიანი ქართული ეროვნული საბალეტო ხელოვნების ფუძემდებელია.** ოცდათორმეტი წელი იყო დასის ხელმძღვანელი. მეუხერხულება კიდეც, რომ ჭაბუკიანის დიდ ხელოვნებაზე ასე ვსაუბრობ, რადგან მგონია, ანბანურ ჭეშმარიტებას ვიმეორებ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თურმე მნიშვნელობა არ ჰქონია ქართული კულტურის წინაშე მის დიდ დამსახურებას. ერთ დღეს მოულოდნელად ოპერისა და ბალეტის შესასვლელთან, ყველაზე გამორჩეულ ადგილას **მისი ქანდაკების ნაცვლად გაჩნდა ამერიკული ბალეტის მაესტროს ჯორჯ ბალანჩინის ქანდაკება.** მის ადგილას ვახტანგ ჭაბუკიანის ქანდაკება რომ დადგმულიყო და ბალანჩინისა კი თეატრის ეზოში, იქნებ კიდევ რაღაც ახსნა და გამართლებაც ჰქონოდა, მიუხედავად იმისა, რომ **ბალანჩინს არავითარი დამსახურება არა აქვს არამცთუ ქართული ბალეტის წინაშე, არამედ საერთოდ ჩვენი ეროვნული კულტურის წინაშეც.** ბალეტის გამოჩენილი ფრანგი მსახიობის ბისლენ ტესმარის მოგონებებთან დაკავშირებით, ფრანგულ ჟურნალში მარტინ პლანერი წერდა: „...ბალანჩინს მიაჩნდა, რომ მისი მისია შეერთებულ შტატებში ბალეტის შეტანა იყო. ის აღმერთებდა ჰოლივუდს და ამერიკას, მეტისმეტად მორწმუნეც იყო, როგორც ყველა რუსი“. ბავშვობიდანვე პეტერბურგში სწავლობდა და ფრაზა „რუსიც“ ამის გამოა, მაგრამ ახლა ამას არა აქვს მნიშვნელობა. ჯ. ბალანჩინი იყო **ამერიკული საბალეტო კულტურის დიდი ნოვატორი.**

იხ. 7 გვ.

## განათლების სისტემა

***ის, რომ თავისუფლების ინსტიტუტში დაფრთიანებულმა კადრებმა ძლიერი დესტაბილიზაცია შეიტანეს საზოგადოების ცნობიერებაში და ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი ფორმები მისცეს განათლების რეფორმასაც, ბევრჯერ აღინიშნა და ამაზე ამჟამად არ გვინდა საუბარი. მინდა მხოლოდ ვიკითხო: შეეძლო თუ არა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საკუთარი ძალებით გაეძლო დივერსიული ხასიათის შემოტევებისათვის, მომზადებული შეხვედროდა რეფორმებს და მაგალითი მიეცა ამით საქართველოს სხვა უნივერსიტეტებისთვის? ჩემი აზრით, თავისუფლად შეეძლო, მაგრამ უნივერსიტეტის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ვერ შეიმუშავა სწორი პოლიტიკა და ვერ გამოიყენა, თუ არ გამოიყენა ის ინტელექტუალური და ფინანსური რესურსები, რაც უნივერსიტეტს იმ დროისთვის გააჩნდა.***

# რატომ შეხვდა უნივერსიტეტი რეფორმებს მოუმზადებელი?

აღსანიშნავია, რომ განათლების სისტემის რეფორმას ევროპულ დონეზე ბევრი სერიოზული ღონისძიება მიეძღვნა. ჯერ კიდევ 1988 წელს (18.09ძ ბოლონიაში, რექტორთა შეხვედრაზე, რომელიც ევროპის უძველესი უნივერსიტეტის 900 წლისთავის აღსანიშნავად შედგა, მიღებულ იქნა უნივერსიტეტის დიდი ქარტია, სადაც განსაკუთრებით აღინიშნა უნივერსიტეტის ცენტრალური როლი მუდმივადცვალებად საზოგადოებაში. ითქვა, რომ უნივერსიტეტზე ბევრადაა დამოკიდებული კაცობრიობის მომავალი, მისი კულტურა, სამეცნიერო და ტექნიკური განვითარება. ხაზი გაესვა იმას, რომ უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს ავტონომია, კვლევა და სწავლება მასში უნდა იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი ნებისმიერი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლებისაგან და, რაც მთავარია, უნივერსიტეტი ღია უნდა იყოს დიალოგისათვის, ანუ ასპარეზი უნდა მიეცეს მასწავლებლებს, რომლებსაც შეუძლიათ განავითარონ თავიანთი ცოდნა კვლევისა და ინოვაციების საშუალებით და ხელი შეუწყონ უნივერსიტეტის სწრაფვას უნივერსალური ცოდნისაკენ. რექტორთა ამ შეხვედრაზე დადგინდა, რომ განათლების პოლიტიკა უნივერსიტეტში უნდა წარმართულიყო ამ დიდი ქარტიის მიხედვით. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ დიდი ქარტიიდან გაითავისა მხოლოდ ერთი: უნივერსიტეტის ავტონომიურობა და კიდევ უფრო გააძლიერა ცხოვრება დევიზით: „მე ვარ და ჩემი ნაბადი“.

დაიწყო ცვლილებები განათლებისა და შრომის პირობებში და უნივერსიტეტი დადგა ორი მნიშვნელოვანი ამოცანის წინაშე: სასწავლო პროცესის მოდერნიზება მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად და არსებული ინტელექტუალური პოტენციალისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადარჩენა და განვითარება. პერიოდულად ტარდებოდა შეხვედრები უმაღლეს დონეზე და რეკომენდაციებს რეფორმის პრობლემატიკაზე გვთავაზობდა მრავალი დოკუმენტი: ლისაბონის კონვენცია (1997.11.04ძ, სორბონის (1998.25.05ძ, ბოლონიის (1999.19.06ძ და გიოტებორგის (2001.25.03ძ დეკლარაციები, სალამანკის მიმართვა (2001.30.03ძ, პრაღის კომუნიკე (2001.19.05ძ და სხვა, რომელთა სერიოზული ანალიზი და გათვალისწინება ბევრ რამეს აგვაცილებდა თავიდან.

მაგალითად, სალამანკის მიმართვაში და პრაღის კომუნიკეში წერია, რომ უნივერსიტეტებს უნდა შეეძლოთ თავიანთი სტრატეგიის ჩამოყალიბება, სწავლებასა და კვლევაში პრიორიტეტების შერჩევა, კურიკულუმის მიღების საკუთარი კრიტერიუმების დაწესება და სრული გაცნობიერება იმისა, რომ განათლება არის საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, სადაც მთავარია ხარისხის უზრუნველყოფის პრობლემა და რწმენა იმისა, რომ უნივერსიტეტის ავტონომიას თან ახლავს აგრეთვე ანგარიშვალდებულება, ანუ უნივერსიტეტები პასუხისმგებელნი არიან სწავლებისა და კვლევების შიგა ხარისხის განვითარებაზე. იმაზე, რომ დაცული იქნება არადისკრიმინაციული და ინფორმაციის თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპები. ჩვენთან არ შესრულებულა არც ერთი ამ მოთხოვნათაგანი. ვინ უნდა აგოს პასუხი ამაზე!

თეორიული რჩევების გარდა რეფორმირებისათვის გამოყოფილი იყო მილიონობით დაფინანსება და მილიონობით გრანტი, რომელთა გამოყენებაც ასევე უშედეგოდ წარიმართა, რაზეც მეტყველებს ის აბსოლუტური მოუმზადელობა, რითაც უნივერსიტეტი შეხვდა რეფორმებს, რომლებიც უნივერსიტეტში წავიდა დემოკრატიული პრინციპების აშკარა დარღვევებით, დახურულ კარს მიღმა, გაუმჭვირვალედ და უნივერსიტეტის ტრადიციების სრული იგნორირებით. პედაგოგთა უმრავლესობამ საერთოდ არ იცოდა არაფერი რეფორმების შესახებ. ეს აღინიშნა კიდეც 2001 წ. 17 მაისს, უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში, საუნივერსიტეტო მეთოდსაბჭოს გაფართოებულ სხდომაზე, სადაც რექტორატმა პირველად გამოიტანა საჯაროდ თავისი პოზიცია განათლების სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით. იქ ითქვა სწორედ, რომ უნივერსიტეტში დარღვეულია დემოკრატიული ცხოვრების ძირითადი პრინციპები, არ არსებობს ჯანსაღი, შემოქმედებითი მეცნიერული კამათის პირობები, რის გამოც შეუძლებელია ყოველგვარი წინსვლა და პროგრესი.

მაგრამ ამის შემდეგ რეფორმები უნივერსიტეტში კიდევ უფრო დახურულად წარიმართა, ბოლოს კი, როდესაც სავალალო შედეგი მივიღეთ და მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა, ადამიანები, რომლებიც მთავარი პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყვნენ უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებზე და რომლებსაც იმ მომენტისათვის ისინიც კი ვუჭერდით მხარს, ვინც ნამდვილად არ ვიყავით კმაყოფილი უნივერსიტეტში მათი მოღვაწეობით, **თეა თუთბერიძეს ერთ დაძახებაზე „დეკნებო, გადადექით!“ დასტოვეს თავისი თანამდებობები და გადადგნენ, რითად დასაღუპად გასწირეს უნივერსიტეტი, ხოლო ყველა ის პედაგოგი, ვისაც შეეძლო და ხელეწიფებოდა უნივერსიტეტის გადარჩენა, დანაშაულებრივი საკონკურსო პოლიტიკის გამო, „ჩარეცხილებში“ აღმოჩნდა.**

დღეს უნივერსიტეტში, სადაც განადგურებულია ყველა ღირსეული ტრადიცია, სადაც ყველა ფაკულტეტზე ჩაშლილია სასწავლო პროცესი და ნულამდეა დაყვანილი ხარისხის უზრუნველყოფა, რუსებზე ჩვენი „გამარჯვების“ მსგავსად „წარმატებულ რეფორმებს“ ზეიმობენ განათლების სისტემაში შემთხვევით მოხვედრილი პირები; ისინი, ვისაც წარმოდგენაც არა აქვთ უნივერსიტეტის სტრუქტურაზე და მით უმეტეს იმაზე, თუ როგორ უნდა მიდიოდეს რეფორმები მეცნიერებაში და განათლების სისტემაში. ვინ უნდა აგოს პასუხი ამაზე? თეა თუთბერიძემ, რომელმაც, როგორც კარგად თქვა ერთმა, ასოების წერა ასფალტზე ისწავლა? თუ უნივერსიტეტის კედლებში წლების მანძილზე „მოღვაწე“ ადამიანებმა, რომელსაც საკუთარი ინტერესების გარდა არაფერი არ უფიქრიათ ცხოვრებაში? ან იქნებ უფრო მეტად მათ, ვინც ხანგრძლივი მანკიერი საკადრო პოლიტიკით გაუხსნეს ამგვარ კადრებს გზა განათლების სისტემაში და დაღუპეს უნივერსიტეტი?

და ბოლო: გვინდა აღვნიშნოთ, რომ **მაღალი პროფესიონალიზმის მქონე კადრები არსებობენ და ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ჯერ კიდევ შეიძლება უნივერსიტეტში განათლების პროცესების თვითრეგულირებადი სისტემის შემუშავება, ჯერ კიდევ, თორემ მალე შეიძლება პროცესები შეუქცევადი გახდეს.**

**გილდა სიხარულიძე**

№ 7. ხუთშაბათი, 15 იანვარი, 2009 წელი.

საკომუნიკაციო სფერო

# სიახლეები ცვლილებათა ჟამს

**ძველი ჩინური თქმაა: ზეცამ დაგიფაროთ ცვლილებათა ჟამს მოგიწიოთ ცხოვრებაო. ეს სრული ჭეშმარიტება რომ არის, ამას ჩემი დასტური არ სჭირდება, სხვა თუ არაფერი ყველამ საკუთარ ტყავზე გამოვცადეთ. თუმცა ერთი კია — ცვლილებაც არის და ცვლილებაც, რადგან ის მარტო პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ კატაკლიზმს არ ნიშნავს, იგი, უწინარესად, წინსვლას, პროგრესს, აღმშენებლობას გულისხმობს. თანამედროვე სამყაროში კი ძნელად მოიძებნება ისეთი დინამიურად, უსწრაფესი ტემპით წინ მიმავალი დარგი, როგორიცაა კავშირგაბმულობა, რის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია თუნდაც საყოველთაო ქსელი — ინტერნეტი.**

დადგენილია, რომ ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორები, საუწყებო ქსელების მფლობელი პირები და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლები ვალდებულნი არიან ქსელის სისტემათა ნომერაციის ახალ ეროვნულ სისტემასთან შესაბამისობა საკუთარი ხარჯით უზრუნველყონ. **საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში ახლახან შემუშავებული კანონპროექტის თანახმად, სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დამტკიცების ვადად 2011 წლის 1 მაისი განისაზღვრა.** ამასთან დაკავშირებით, კომიტეტში აცხადებენ, რომ ნუმერაციის ეროვნული სისტემის დანერგვის განხორციელება ქვეყნის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების მოდერნიზება ფიქსირებული სატელეფონო ანალოგიური ქსელების ციფრული სისტემებით სრულად გადაიარაღების შედეგადაა შესაძლებელი, რაც ამ ბაზარზე მოქმედი კომპანიების მხრიდან საკმაოდ დიდ დროსა და სერიოზულ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს.

გარდა ამისა, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში, კერძოდ, განაცხადეს, რომ უკვე შემუშავებულია საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის თანახმად, ერთ-ერთი უმსხვილესი ოპერატორი კომპანია „გაერთიანებული ტელეკომი“ ნუმერაციის ახალ ეროვნულ სისტემაზე 2009 წლის ნაცვლად, 2011 წლის პირველ იანვრამდე უნდა გადავიდეს. ნუმერაციის ეროვნულ სისტემაზე გადასვლის ფართომასშტაბიანი სამუშაოები 2009 წლის მიწურულისთვის დაიწყება, რა დროისთვისაც „გაერთიანებული ტელეკომი“ საკუთარი ქსელების გადაიარაღების პროცესს დაასრულებს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ნუმერაციის ეროვნულ სისტემაზე გადასვლის გრაფიკი სხვა ოპერატორი კომპანიებისთვისაცაა დადგენილი.





თბილისში სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად „გაერთიანებულმა ტელეკომმა“ შარშან გაიმარჯვა და 10 ათასი სააბონენტო ნომრის ნუმერაციის სარგებლობის ლიცენზია 21 ათას ლარად შეიძინა.

ამასთან, როგორც თავად „გაერთიანებულ ტელეკომში“ აცხადებენ, შარშან, წლის განმავლობაში განსაკუთრებით აქტიურად კომპანიაში CDMA ტექნოლოგიის დანერგვის მიმართულებით მუშაობდა, რომლის მომხმარებელია თბილისში ათასი და რეგიონებში ორი ათასი კაცი, რომელთა უმეტესი ნაწილი თელავსა და ზუგდიდში ცხოვრობს. CDMA -ტექნოლოგიის განვითარებას კომპანიის მენეჯმენტი უაღრესად წარმატებულ პროექტად მიიჩნევს და მის ენერგიულად განვითარებას აპირებს. კერძოდ, წლეულს ზაფხულიდან უნდა ამოქმედდეს CDMA მობილური მომსახურება. ამჟამად კი პარალელური რეჟიმით „გაერთიანებულ ტელეკომში“ მიმდინარეობს მუშაობა ADSL2+ პროექტზე, რის შედეგად **კომპანია მომხმარებელს კიდევ უფრო მეტად მაღალხარისხიან ინტერნეტს, სატელეფონო მომსახურებასა და ტელევიზიას ერთ პაკეტად შესთავაზებს.**

„გაერთიანებული ტელეკომი“ კიდევ ერთი სიახლეა მსხვილი დატა-ცენტრის მშენებლობის დაწყება. კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილის ივა მარტიაშვილის განცხადებით, ეს იქნება ტექნოლოგიურად ძალიან მაღალი დონის სერვერული ცენტრი, სადაც შესაძლებელი იქნება მრავალი სახეობის ინფორმაციის განთავსება.

**ოთარ ტურაბელიძე**

ინფორმაცია

## უტილიზაცია და რეალიზაცია - პრეზიდენტის დარეგულირებით

**ისეთი სამხედრო ტექნიკის, შეიარაღების, საბრძოლო მასალებისა და სპეცქონების რეალიზაცია, რომელთა შეიარაღებაში დატოვება მიზანშეწონილი არ არის, აუქციონის ფორმით, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში, პირდაპირი მიყიდვის ფორმით განხორციელდება.**

**ამასთან დაკავშირებით ცვლილება პრეზიდენტის შესაბამის ბრძანებულებაში შევიდა.**

**უტილიზაციასა და რეალიზაციას საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ ახდენს.**

**აღნიშნული ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებული ამონაგები სახელმწიფო ბიუჯეტში ირიცხება.**

## ამოწმებენ აფხაზ სამხედროებს

**გალის რაიონში „აფხაზური ჯარის“ პოსტები და შტაბები აფხაზეთის ე. წ. თავდაცვის სამინისტროს წარმომდგენლებმა შეამოწმეს. ამის შესახებ გალის რაიონიდან ინფორმირებული წყარო იტყობინება.**

**მისივე ცნობით, გალის რაიონში ამავე მიზნით რუსი სამხედროებიც იყვნენ ჩასული.**

**— მათ გაძლიერებული დაცვის თანხლებით აფხაზური ჯარის ყველა შტაბი და საგუშაგო შეამოწმეს და აფხაზ სამხედროებს მოძველებული ტექნიკის ნაცვლად ახალი შეიარაღებაც ჩაუტანეს, — განაცხადა წყარომ.**

**ისინი გალის რაიონში დისლოცირებულ ჯარისკაცებს პირობების გაუმჯობესებასაც დაჰპირდნენ.**

**— აფხაზ სამხედროებს საკმაოდ მძიმე პირობებში უწევთ სამსახური, თითქმის არანაირი კომფორტი არ აქვთ. შეიძლება ითქვას, რომ პრობლემა მხოლოდ კვების მხრივ არ არსებობს, — განაცხადა წყარომ.**

ინტერპრესნიუსი

გლობუსი

# ახალ წელს

**დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში გასული წელი ავად მოსაგონარ წლებს შორის ისეთივე ადგილს დაიკავებს, როგორც თბილისის ომით, გადამწვარი ცენტრით, დაღვრილი სისხლით, უბედურებით აღსავსე 1991 წელი. ცუდმა 1991-ა ცუდი 1992-ი დაგვიბედა — აფხაზეთის ომით, პურის რიგებით, უშუქობით, უგაზობით, სიცივით, ბანდიტიზმით, მხედრიონელთა თარეშით... 2008 წლიდან მიღებული ესტაფეტა არასახარბიელოა. ღმერთს უნდა შევევედროთ, რომ გასული წლის უბედურებამ წელს არ იჩინოს თავი, მაგრამ შეისმენს ღმერთი ჩვენს ვედრებას, როდესაც ჩვენსავე უთაობით დღენიადაგ ვუშვებთ მომაკვდინებელ შეცდომას?**

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ქვეყნის ბედი, მისი აწმყო და მომავალი ხალხზე, მის რჩეულ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. არჩეული მაქსიმალურად ცდილობს გაამართლოს ხალხის იმედები, მაღლა ასწიოს ქვეყნის სახელი, ჯეროვანი ადგილი დაიკავოს დემოკრატიულ სახელმწიფოთა რიგებში. ასეა ყველა ნორმალურ ქვეყანაში, მაგრამ არა ჩვენთან. უბედობას უნდა მიეწეროს ის, რომ დამოუკიდებლად არსებობის პერიოდში საქართველოს არც ერთი ხელისუფლებით არ გაუმართლა. **განსაკუთრებით გული დაწყვიტა ბოლომ, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდა. სწორედ არსებული ხელისუფლების უარყოფითი მართვის და შეგნებული ავანტიურიზმის წყალობით გასულ წელს ქვეყანამ პროვოკატორის, ერთი სახელმწიფოს მეორეზე წამკიდებლის სახელი მოიპოვა. ქართველ ხელისუფალთა მოქმედება სკოლას გვაგონებს — დაბალკლასელები, რომ მაღალკლასელებს ერთმანეთს გადაჰკიდებენ, თვითონ მოფარებულში შეყუჟულნი მუშტი-კრივზე გადასულთა ჩხუბით რომ ტკბებიან, თუმცა ჩვენდა სამწუხაროდ მუშტი-კრივზე გადასვლამდე დიდები ჯერ საქართველოსთან ასწრებენ ანგარიშს.**

პროვოკატორი სახელმწიფოს სახელი დასავლეთმა მოგვანიჭა. რუსეთის საწინააღმდეგო სტრატეგიის ჩამოყალიბების მიზნით, გამზრდელმა ბუშის ადმინისტრაციამ, ბევრი იღონა: უკრაინას, ლატვიას, ესტონეთს, საქართველოს, დღეში ორჯერ თუ არა ერთხელ მაინც უსხა წყალი. პოსტსაბჭოთა სივრცის ნერგებმაც ტანი აიყარეს. იმავე დასავლეთმა მეორე სახელიც შეგვარქვა — ჩრდილო კორეა.

საქართველოს ხელისუფალთა ავანტიურიზმს შარშან საზღვარი არ ჰქონდა, მისი „შემოქმედების“ წყალობით საბჭოთა კავშირის დაშლიდან 20 წლის შემდეგ კვლავ აღდგა დასავლეთ-რუსეთის დაპირისპირება. ერთმანეთს ისევ მტრული თვალით დაუწყეს ყურება ნატოელმა და რუსმა სამხედროებმა, პოლიტიკურმა თბილისმა მოახერხა დასავლეთ-რუსეთის 20 წლით უკან დაბრუნება.



რა მიიღო ამით თბილისმა? სამწუხაროდ მხოლოდ ცუდი.

ცხინვალის ომმა ყველას დაანახა, რომ ქვეყანაში ისე არ არის საქმე, როგორც ამას ხელისუფლება ხატავს. სააკაშვილის განცხადებით, ცხინვალამდე ეკონომიკურმა წინსვლამ ლამის 13 პროცენტს მიაღწია, რითაც საქართველო მიუახლოვდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ეკონომიკურ ვეფხვად წოდებული ქვეყნების მაჩვენებელს. სიტყვიერი ეკონომიკური წარმატების ფონზე ყვავის მათხოვრობა, უმუშევრობა, გაუარესდა სოციალური პირობები და სხვა. არც სამხედრო მშენებლობის საქმეა ისეთი წარმატებული, როგორც გვეამაყებოდნენ.

ჯარის ავ-კარგიანობა ომმაც გამოავლინა, მაგრამ მომაკვდინებელი წერტილი ამერიკელმა შემმოწმებლებმა დასვეს. ორთვიანი შემოწმების შედეგად შედგენილ დასკვნაში დეტალურადაა აღნიშნული თავდაცვის სამინისტროს ნაკლოვანების შესახებ. დოკუმენტი საიდუმლოა, მაგრამ პრესაში მაინც გაჟონა, **„ნიუ იორკ ტაიმსმა“ მოკლედ აღწერა ქართული არმიის გასაჭირისა და ბედოვლათობის თაობაზე. დასკვნის მიხედვით ქართული არმია სერიოზულად არის დემორალიზებული და ფუნქციონირებას მოკლებული. ის მოქმედებს იმპულსურად, ყოველგვარი გააზრებული გეგმის გარეშე. არმია დასუსტებულია გაუმართავი მართვის სტრუქტურის გამო, იძულებულია დაემორჩილოს არაპროფესიონალ ხელმძღვანელობას, რომელიც პირადი კავშირების შედეგად არის დანიშნული. თავდაცვის სამინისტროს არ აქვს კონცეფტუალური და ნორმატიული დოკუმენტაცია, არ აქვს უსაფრთხოების ეროვნული დოქტრინა და არც საიდუმლოების შენახვის წესი. სამინისტრო ვერ აანალიზებს სადაზვერვო ინფორმაციას. არადა სამინისტროსა და არმიის ჩამოყალიბებას თვით ამერიკელებმა 10 წელზე მეტი მოახმარეს, დახარჯეს რა ათეულობით მილიონი დოლარი. შედეგი — ნოლი. ასეთი არმიით არათუ ნატოში, საქათმეშიც არავინ მიგვიღებს. მინისტრი გაათავისუფლეს. მისი პირველი მოადგილე აშშ-ში ელჩად დააწინაურეს. გათავისუფლებული მინისტრი მეუღლესთან ერთად ლასვეგასს ეწვია „დარდების“ გასაქარვებლად. მარტო მათი ბიზნეს კლასის ბილეთების საფასური 10.000 აშშ-ს დოლარს აჭარბებს, რომ არაფერი ვთქვათ აზარტული თამაშებით სახელგანთქმულ ლას-ვეგასში ცხოვრებას. ვისი ფულით ხდება „დარდების“ გაქარვება? სამინისტროსათვის გამოყოფილით ხომ არა?**

ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების მიწურულს მეკქეინი გამწარებით მოუწოდებდა ამომრჩევლებს — გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ, მე მომეცით ხმა და არა შავკანიან ობამასო. მოწოდებამ შედეგი არ გამოიღო. **გამოღვიძების მსგავსი არც საქართველოს მოსახლეობას ეტყობა. მისთვის სულ ერთია ვინ და რამდენს პარავს მას. ხელმრუდენი კი უხვად არიან. ყოველ „მინისტრუაციას“ (რუსი ჟურნალისტების ტერმინი საქართველოს მინისტრების ხშირ ცვლასთან დაკავშირებით) ახალი კლეპტომანები მოჰყავს ხელისუფლებაში. ისინი უმალ ახერხებენ საკუთარი ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას. ქვეყნისათვის დრო არ რჩებათ.** საქართველოს მოსახლეობა შეეგუა ყოველივეს. ის, ისე შორს არის „ნეზავისიმაია გაზეტას“ კორესპონდენტის სიმონიანის მოჩვენებიდან, რომ საქართველოს მოსახლეობა ტელეეკრანებს მიეჯაჭვა სააკაშვილის განცხადების მოსასმენად, როგორც მარსიდან. საქართველოს მოსახლეობას კარგა ხანია აღარ აინტერესებს პრეზიდენტის განცხადება, არც იმის იმედი აქვს, რომ ის გადადგება (სიმონიანისგან განსხვავებით). სააკაშვილი წონის დასაკლებად ათასჯერ უფრო გაემგზავრება იტალიაში, ვიდრე გადადგება. ეს კარგად იცის საქართველოს მოსახლეობამ, მაგრამ ძინავს.

◉ მწარე სინამდვილე

# უმადურობა და პოლიტიკური პროვინციალიზმი



(მეხუთე გვერდიდან)

ჩვენს თვალწინ მოხდა ისტორიული უსამართლობა. რაკი ამერიკული ბალეტის ხელოვანის ბალანჩინის ძეგლი დაიდგა ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ, ბუნებრივია, რომ ამით **მისი სახელი სიმბოლურად უკავშირდება ქართულ ბალეტს. როცა თეატრთან მსახიობის ძეგლი იდგმება, მისი სხვაგვარი წაკითხვა არ ხდება.**

ბალანჩინი ვერც წარმოიდგენდა, თუ ოდესმე მისი ქანდაკება იმ თეატრთან დაიდგმებოდა, **სადაც ერთხელაც არ უმუშავია, არაფერი არ გაუკეთებია, არც სურვილი ექნებოდა, რადგან დიდი ხელოვანი იყო და სხვისი ადგილის დაკავება არ სჭირდებოდა.**

ნინო ანანიაშვილმა იმდენად კარგად იცის ვახტანგ ჭაბუკიანის ღვაწლი და ამაგი, ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ მისი თანხმობით დადგმულიყო ჯორჯ ბალანჩინის ქანდაკება, თუმცა საზოგადოება მაინც მისკენ იშვერს ხელს, არც თეატრის ხელმძღვანელობაა ისეთი, რომ არ გრძნობდეს ჭაბუკიანის ხსოვნის წინაშე დიდ უხერხულობას (რბილად რომ ვთქვათ). მით უფრო, როცა ოპერის ბაღში დგას დიდი ფალიაშვილის ძეგლი, სარაჯიშვილისა და ანჯაფარიძის ბიუსტები.

როგორც ჩანს, **სადღაც ზემოთ,** დაუფიქრებლად და უპასუხისმგებლოდ გადაწყვიტეს პრინციპული პოლიტიკური ლოგიკით:

ჯორჯ ბალანჩინი აშშ-ს მოქალაქე იყო, ამერიკა კი ჩვენი შემწე და მეგობარია. თუ ბუშის ქუჩა შეიძლება იყოს თბილისში, რატომ არ შეიძლება ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ ამერიკული ბალეტის დიდი ხელოვანის, ისიც წარმოშობით ქართველის ქანდაკება? ხომ „მაგარი“ ლოგიკაა?!, თუმცა ამაზე ილია იტყოდა – „ლოგიკავ, სადა ხარ“?.

მედეას ძეგლი დადგეს ბათუმში, მერე რა მოხდა, თუ მამას უღალატა, ძმა შეიწირა და სამშობლოს საიდუმლოება (ოქროს საწმისის მოპოვებაძ) გასცა სიყვარულისათვის, სამაგიეროდ მთელს მსოფლიოში ცნობილი ქართველია.

მიუხედავად იმისა, რომ სრულიად განსხვავებულია საქართველოსადმი მედეასა და ბალანჩინის დამოკიდებულება, მათი ძეგლების დადგმა იმის ნიშანია, რომ **დენაციონალიზაციის პროცესი გრძელდება. იკარგება ეროვნული ორიენტირები, ცუდ სიგნალებს ვუგზავნით ახალ თაობებს.**

ჩვენს უნივერსიტეტებში მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო სკოლები შეიქმნა. მსოფლიოს ნებისმიერ დიდ ქვეყანას დაამშვენებენ ჩვენში აღზრდილი მსახიობები, მხატვრები, რეჟისორები, მომღერლები და სხვა დარგის სპეციალისტები.

აი, ასეთ ქვეყანაში ხდება ნაციონალური ღირებულებების სრული გაუფასურება. ისტორიულად საქართველო გადაარჩინა გლეხის მარჯვენამ და თვითმყოფადმა კულტურამ, მათ შეინახეს ჩვენი ეროვნება. დღეს, უმძიმეს, პირდაპირ გაუსაძლის დღეშია გლეხი, კულტურა კი ორიენტირს იცვლის. გვავიწყდება, რომ „ბრმა თაყვანისცემა რისიმე ან ვისიმე მონობაზე უფრო საძაგელი მონობაა“ (ილიაძ.

მომხდარი **ფაქტი არის უმადურობისა და პოლიტიკური პროვინციალიზმის ნიმუში.** ბუშის ქუჩა პოლიტიკური კონიუნქტურა და დროებითი მოვლენაა, მაგრამ რას ვერჩით ჯორჯ ბალანჩინის სახელს? რატომ ვაყენებთ მას თუნდაც უნებლიედ უხერხულ მდგომარეობაში?

**გავა დრო და ქალაქის ხელმძღვანელობაში ხომ მოვა ვიღაცა სამართლიანი, გონიერი, პრინციპული და იტყვის: — თეატრის წინ ამავე თეატრის ეროვნული ბალეტის ფუძემდებლის, გენიალური ვახტანგ ჭაბუკიანის ქანდაკება უნდა იდგესო.**

აუცილებლად მოვა ეს დრო. **ქართველი ხალხი ბოლოს და ბოლოს გააცნობიერებს, რომ არ შეიძლება ყველაფერში უცხოეთზე სწორება, უცხოური ფასეულობებისადმი მონური მორჩილება. თანდათან ვკარგავთ ეროვნული ღირსების გრძნობას.** პოლიტიკურ ასპარეზზე ჩვენი ბედი ჩვენი ქვეყნის გარეთ წყდება, მაგრამ იმის ჭკუა მაინც ხომ უნდა გვქონდეს, რომ რაც ჩვენი გადასაწყვეტია, ის მაინც ეროვნული ინტერესების დაცვით გადავწყვიტოთ!

ვასილ კიკნაძე

◉ გლობუსი

# ძველი პრობლემებით

ისე, როგორც ყოველთვის საქართველოს მოსახლეობა სხვაზე ამყარებს იმედს. იმას, ვისი იმედიც საქართველოს აქვს სხვებიც იმედის თვალით უყურებს. აშშ-ს 44-ე პრეზიდენტი ბარაკ ჰუსეინ ობამა რამდენიმე დღეში შეუდგება საქმიანობას და უნდა ვიმედოვნოთ, რომ მოგვიანებით მაინც მოწყალე თვალით გადმოგვხედავს, ჩვენსავე გასაკეთებელი საქმიდან გაგვათავისუფლებს და „დაგვიხსნის“ ჩვენივე რჩეულისაგან“.

გასული წელი გარდა იმისა, რომ ბუშ-სააკაშვილის, ბუშ-იუშჩენკოს, ბუშ-კაჩინსკის, ბუშ-ბალტიისპირელთა „ძმობის“ წელი იყო, ის ობამას წელიც იყო. 1959 წელს მარტინ ლუთერ კინგმა თქვა: „სამოქალაქო უფლებებისათვის მებრძოლი მოძრაობის ნამდვილი მიზანი არა მარტო ის არის, რომ გავათავისუფლოთ ზანგები, არამედ ის, რომ გავათავისუფლოთ ამერიკის სული. „ობამას გამარჯვებით დასრულდა პრეზიდენტ ლინკონის მიერ 1861 წელს დაწყებული სამოქალაქო ომი ეროვნული ერთიანობისა და ზანგების თავისუფლებისათვის. ამერიკამ მხარი დაუჭირა შავკანიან ობამას, რომლის მეორე სახელი ჰუსეინია. კანის ფერთან ერთად სახელიც განსაკუთრებულ ეჭვს იწვევდა ამერიკელებში, ამიტომაც ამომრჩეველთა 47 პროცენტმა მხარი ძველს, ტრადიციულ ხელისუფლებას დაუჭირა, თუმცა მან საერთო შედეგზე გავლენა ვერ იქონია. ინგლისური ჟურნალის **„ეკონომისტის“ მიერ მსოფლიოში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით მხოლოდ 1 პროცენტმა დაუჭირა მხარი ჯონ მაკქეინს, დანარჩენებმა ობამას. მაკქეინის მხარდამჭერთა შორის ისრაელის და საქართველოს გარდა არავინ აღმოჩნდა.**

მაკქეინის გამარჯვებაზე აწყობილი საქართველოს ხელისუფლება ცდილობს ობამას ადმინისტრაციასთან გამონახოს საერთო ენა. საკუთარ მოსახლეობასაც აიმედებს ან უფრო სწორად აფრთხილებს, არაფერი გაბედოთ ახალთან უფრო ახლო ვართ.

საქართველოს მსგავსად, მისი მოკავშირე უკრაინის პრეზიდენტიც ილვწის ობამასთან საერთო ენის გამონახვნისათვის. ბუშის ადმინისტრაციის მიერ გათამამებულმა იუშჩენკომ იმდენად აზილა შიდაპოლიტიკური ცხოვრება, რომ მდიდარი ქვეყნის ეკონომიკა ლამის კატასტროფამდე მიიყვანა. ინფლაცია 30 პროცენტს აჭარბებს, სწრაფად იზრდება ფასები, მოსახლეობის მესამედს ხელფასი უგვიანდება. მოსახლეობის 15 პროცენტი აცხადებს, რომ ოჯახის ერთი წევრი უმუშევარია, 20 პროცენტის მიხედვით გაუსაძლისი მდგომარეობა 5 წლის განმავლობაშიც ვერ გამოსწორდება, 67 პროცენტი თვლის, რომ უკრაინაში ცხოვრება ყოველგვარ პერსპექტივას არის მოკლებული. ამას წინათ უკრაინელებმა შემდეგი სახის წერილით მიმართეს იუშჩენკოს: **„პატივცემულო პან პრეზიდენტო, გვიპასუხეთ, რამდენი უნდა გადაგიხადოთ უბრალო ადამიანებმა, რომ თქვენ რადას დეპუტატებიანად, მინისტრებიანად, მაღალი რანგის მოხელეებიანად სამუდამოდ გაემგზავროთ უცხოეთში და მისცეთ უკრაინას განვითარების საშუალება“. წერილი ინტერნეტით გაიგზავნა და მას მხარი 85.000 ინტერნეტ-მომხმარებელმა დაუჭირა. პოლიტიკურად გაკოტრებული სააკაშვილის მეგობარი იუშჩენკო ძველი მეთოდებით ცდილობს დასავლეთისთვის თავის შებრალებას — რუსეთმა ცივ ზამთარში უგაზოდ დაგვტოვაო. უკრაინული ავანტიურა ყოველგვარ საზღვარს სცილდება. ქვეყანა, რომელიც 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში აწარმოებდა მოლაპარაკებას, დეკემბრის მიწურულს წყვეტს მას და აცხადებს, რომ ვალს (2 მილიარდი დოლარი) ვერ გადაიხდის, ვინაიდან არა აქვს. მეორე მხარეს იმასაც უცხადებს, რომ ევროპის ქვეყნებისთვის გამიზნულ გაზს თვითონ მოიხმარს, რაც განახორციელა კიდეც. მან მოურიდებლად გადაკეტა ევროპისკენ მიმავალი რუსული გაზი და ევროპული ქვეყნები გაყინულ ზამთარში გათბობის გარეშე დატოვა, თითი კი მოსკოვისკენ გაიშვირა, ის არის დამნაშავეო. გაზის მორიგი კინკლავის შედეგად რუსეთმა ათეულობით მილიონი დოლარი დაკარგა, ხოლო მიკერძოებული ჟურნალისტების წყალობით, ისედაც არასახარბიელო სახელს ახალი ნეგატივი დაუმატა. პროვოკატორი სახელმწიფოს სახელის მატარებელმა უკრაინამ კიდევ ერთხელ სცადა რუსეთის გაშავება. მას ეს მხოლოდ ნაწილობრივ გამოუვიდა. ევროკავშირმა კარგად დაინახა უკრაინის ხელისუფალთა ოინები. ასეთ დროს გაკვირვებას იწვევს ზოგი ქართველი „პოლიტოლოგის“ დასკვნები, რომ გაზის კინკლავმა უკრაინა ევროკავშირში გაწევრიანებას მიუახლოვა. ნაკლებად დასაჯერებელია, რომ გაზის ქურდობაში ეჭვმიტანილი ქვეყანა, გაჩანაგებული ეკონომიკით და არასტაბილური პოლიტიკური ვითარებით, უახლოეს მომავალში, ევროკავშირის წევრობას ეღირსოს. არავინ დაიჭერს ახლო ურთიერთობას ოფიციალურ კიევთან, სადაც პრეზიდენტი საჯაროდ აცხადებს, რომ პრემიერ-მინისტრი არის ქურდი, ხოლო ეს უკანასკნელიც იგივე ეპითეტებით ამკობს პრეზიდენტს. სააკაშვილ-იუშჩენკოს მეგობრობა ზოგ „პოლიტოლოგზე“ ისე მომნუსხველად მოქმედებს, რომ მზად არიან სინამდვილე არაფრად ჩააგდონ, სამწუხაროდ არაობიექტურობა, მიკერძოება არა მარტო ქართულ პოლიტოლოგიისა და ჟურნალისტიკის დაავადებაა, არამედ უცხოეთისაც, რისი მოწმენიც გავხდით ისრაელ-პალესტინის ახალი ომიდან გამომდინარე.**



ახალი წელი, ახალი ომით დაიწყო, რომელიც დასავლურმა მასმედიამ პალესტინის ორგანიზაცია ჰამასს დააბრალა, ისრაელი კი ლამის უმწეო კრავად გამოიყვანა. „უმწეო“ კრავი მერამდენე დღეა უმოწყალოდ ბომბავს ღაზის სექტორში მომწყვდეულ მოსახლეობას, რომელსაც ისრაელმა გადაუკეტა წყალი, ელექტროენერგია, ჰუმანიტარული დახმარება, მედიკამენტები. ღაზის სექტორში დახოცილი მშვიდობიანი მოსახლეობის რაოდენობა უკვე 900-ს აჭარბებს, „აგრესორი“ ჰამასის „თავდასხმამ“ – მხოლოდ 4 ებრაელის სიცოცხლე შეიწირა. გამოკვეთილია აშკარა არაპროპორციული ომი — ერთის მხრივ კბილებამდე შეიარაღებული ისრაელი, რომელსაც ბირთვული ბომბიც აქვს საკუთარ სამხედრო არსენალში, ხოლო მეორეს — ჰამასის შინნაკეთი კასამის რაკეტებით და კალაშნიკოვის ავტომატებით. გაეროს უშიშროების საბჭომ, საგანგებო სხდომაზე დაგმო ისრაელის აგრესია და რეზოლუციით მოითხოვა აგრესიის შეწყვეტა, ისრაელის ჯარის ღაზიდან გაყვანა. ოფიციალურმა ისრაელმა რეზოლუცია არაფრად ჩათვალა. ომი გრძელდება – ცინიკური განცხადების ფონზე, რომ ისრაელმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი მოსახლების უსაფრთხოება. **მსოფლიო გმობს ისრაელის აგრესიას, გარდა საქართველოს ახალგაზრდებისა, რომლებმაც, ცხადია ხელისუფალთა წაქეზებით, ისრაელის მხარდასაჭერი მანიფესტაცია მოაწყვეს. აქაც ისე, როგორც ამერიკის არჩევნების დროს, მხოლობით რიცხვში აღმოვჩნდით. თუმცა ეს არ გვადარდებს, მთავარია აშშ-სთან და ისრაელთან მეგობრობა. ამ უკანასკნელთან განსაკუთრებული მეგობრობა გვაკავშირებს — ომში გამოწრთობილი. ამას წინათ ტელეკომპანია RTVI-ს ეთერში გახმიანდა, რომ ცხინვალის ომისთვის ქართულ არმიას ის ებრაელი გენერალი ამზადებდა, ვინც ისრაელის არმია 2006 წლის ნაკლებად წარმატებულ ლიბანის ომისათვის მოამზადა. გადაცემაში ისიც ითქვა, რომ რა ექნა ებრაელ გენერალს — ქართველები ხომ ებრაელები არ არიანო. სიტყვების ავტორი აშკარად მიანიშნებდა ქართველ ჯარისკაცთა ბედოვლათობაზე.**

ომით დაწყებული ახალი წელი კარგს არაფერს გვიქადის. ასეთ დროს გონიერების მოხმობაა საჭირო. გონიერება ხელისუფლებაში დიდი დეფიციტია.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს ბრძოლასასწავლიან



**გერმანიამ მთლიანად დაადასტურა ნატოს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება და პირობას იძლევა, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ალიანსის წევრი.** ამავე დროს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სტატს-მდივნის თომას კოსენდაის სიტყვებით, ბერლინი სერიოზულ დახმარებას აღმოუჩენს საქართველოს არმიას როგორც სამხედრო პერსონალის მომზადებაში, ისე შეიარაღებული ძალების აღჭურვაში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არაფერი რჩება იმის გარდა, რომ მადლობა გადაუხადოს გერმანიას ასეთი „ზუსტი პოზიციისთვის“: ადრე ბერლინი თბილისის ნატოში დაჩქარებული ინტეგრაციის დიდი მოწინააღმდეგე იყო.

იმ მომენტში, როდესაც ნატოში საქართველოს მიღების გამო აჟიოტაჟი იყო ატეხილი, აგრეთვე დავა სამხრეთ ოსეთში აგვისტოს კონფლიქტის გამო მსოფლიოს დღის წესრიგის მეორე რიგში გადავიდა, მოულოდნელად თბილისს აშკარა მხარდაჭერას უმჟღავნებს გერმანია, ქვეყანა, რომელიც ადრე გამოდიოდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე საქართველოს ატლანტოინტეგრაციის დაჩქარებასთან დაკავშირებით.

„სწორედ გერმანიამ მიაღწია დიდ წარმატებებს სამხედრო განათლების სფეროში, მათ შორის სერჟანტების სკოლის ფორმირებაში“. ამჟამად თბილისში მყოფმა გერმანიის თავდაცვის სამინისტროს საპარლამენტო სტატს-მდივანმა თომას კოსენდაიმ საქართველოს თავდაცვის მინისტრთან დავით სიხარულიძესთან შეხვედრის შემდეგ სამშაბათს განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობა კიდევ ერთხელ გამოხატავს თავის მხარდაჭერას ნატოს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებისადმი და აცხადებს, რომ ეს გადაწყვეტილებანი აუცილებლად შესრულდება. „ნატოს სამიტზე ბუქარესტში მიღებული გადაწყვეტილება შესრულდება და საქართველო უსათუოდ გახდება ალიანსის წევრი“, — განაცხადა კოსენდაიმ.

ამასთან დაკავშირებით გერმანიის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გერმანია მზადაა, დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს სამხედრო ძალებსა და თავდაცვის სამინისტროს როგორც სამინისტროს სტრუქტურის მოდერნიზაციაში, ისე საქართველოს შეიარაღებული ძალების აღჭურვაში, აგრეთვე „სამხედრო განათლების სფეროში“. ამავე დროს კოსენდაიმ გაიხსენა, რომ სწორედ გერმანიამ მიაღწია დიდ წარმატებას სამხედრო განათლების სფეროში, მათ შორის საქართველოს სერჟანტების სკოლის ფორმირებაში.

„საქართველოს მხარს უჭერს არა მხოლოდ გერმანია, არამედ მთელი ევროკავშირი“, — განაცხადა სტატს-მდივანმა და მაგალითად მიუთითა ის, თუ რა სწრაფად მოახდინა ევროკავშირმა რეაგირება და გაგზავნა საქართველოში მეთვალყურეები რუსეთთან აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ.

თავის მხრივ, დავით სიხარულიძემ მადლობა გადაუხადა გერმანიას „ზუსტი პოზიციისთვის“ საქართველოს ნატოს წევრობასთან დაკავშირებით. „ჩვენ განვიხილეთ ჩვენს ქვეყნებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმები. გერმანია დიდი ხანია გვეხმარება თავდაცვის სფეროში და მომავალშიც ეს დახმარება კიდევ უფრო გაიზრდება“, — განაცხადა სიხარულიძემ. და კვლავ გაიხსენა ბერლინის დახმარება სერჟანტების სკოლის ჩამოყალიბებაში.

ერთი სიტყვით, ამგვარი დახმარება და ერთობლივი მუშაობა სხვა მიმართულებითაც გაგრძელდება და „უსაფრთხოების საკითხები და მდგომარეობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადაწყდება ერთობლივი მუშაობის შედეგად“.

აგრეთვე აღვნიშნავთ, რომ წინა დღით საქართველოს სამხედრო სფეროში თანამშრომლობის გეგმა შეუთანხმეს ამერიკის შეერთებულ შტატებს. როგორც იგივე სიხარულიძემ განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მოადგილესთან გორდონ ენგლანდთან შეხვედრის დროს მხარეებმა განიხილეს სამხედრო თანამშრომლობის გაფართოება და ნატოში საქართველოს წევრობის პერსპექტივები, აგრეთვე მთელი რიგი თემები, რომლებიც შეეხება თავდაცვასა და უსაფრთხოებას, რაც გათვალისწინებულია გასულ კვირას ხელმოწერილ ქარტიაში სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ორ ქვეყანას შორის.

„დოკუმენტი ქმნის კარგ წინაპირობას იმისთვის, რომ აქტიურად ვითანამშრომლოთ როგორც ამერიკელებთან, ისე ევროპელ პარტნიორებთან საქართველოს ნატოში ინტეგრაციის საკითხებზე“, — განაცხადა საქართველოს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა. მან მიუთითა 9 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის მიერ ქარტიაზე ხელმოწერაზე.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის დეკემბრის ბოლოს ბრიუსელში გაიმართა ნატოს სამიტი, რომელსაც უნდა მიენიჭებინა საქართველოსა და უკრაინისთვის ალიანსის წევრობის მოქმედებათა გეგმა, ანდა, შესაბამისად, უარი ეთქვა ამაზე.

შედეგად მაპი რესპუბლიკებმა არ მიიღეს, თუმცა ნატოს გენერალური მდივანი აღნიშნავდა, რომ ისინი, ალბათ, მიიღებენ მონაწილეობას რაიმე ახალ მექანიზმში ალიანსთან ინტეგრაციის საკითხში, ხოლო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა განაცხადა მაშინ, რომ საქართველოს და უკრაინის სურვილი, შევიდნენ ნატოში „უკვე აღარ იქნება ყოველი შეხვედრის დღის წესრიგში, როგორც ეს ხდებოდა უკანასკნელი თვეების განმავლობაში“.

**რომან ფედოსეევი**

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

---

# ქართული ოპოზიცია რუსეთს ენგურჰესს არ აძლევს

**ქართულმა ოპოზიციამ პარლამენტში გუშინ მოითხოვა გაეუქმებინათ მემორანდუმი, რომელიც რუსეთის კომპანია „ინტერ რაო ეესმა“ მოაწერა საქართველოს სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროსთან.** დოკუმენტს ხელი მოეწერა დეკემბრის ბოლოს და თებერვალში კონტრაქტისთვის ხელმოწერის შემთხვევაში მას მივყავართ აფხაზეთის საზღვართან მდებარე ქვეყანაში უდიდესი ენგურჰესის ერთობლივ მართვამდე ათი წლის განმავლობაში. დეპუტატმა პაატა დავითაიამ „მიუღებელი“ უწოდა ასეთ თანამშრომლობას საქართველოს ტერიტორიის ნაწილის „რუსეთის ოკუპაციის პირობებში“. არანაკლებ კრიტიკულია არასაპარლამენტო ოპოზიცია: საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილმა ხელმძღვანელმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა „ეროვნული ინტერესების გაყიდვის შესახებ“. ხვალ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს ალექსანდრე ხეთაგურს იბარებენ პარლამენტში ანტიკრიზისული საბჭოს სხდომაზე. ხელისუფლება აღნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლებას რჩება ენგურჰესის აქციების მთელი პაკეტი, ხოლო ურთიერთობა „რაო ეესთან“ საშუალებას მოგვცემს დამატებით მოვიზიდოთ ბიუჯეტში ყოველწლიურად დაახლოებით 25 მილიონი დოლარი ელექტროენერგიის გაყიდვის ხარჯზე რუსეთის სამხრეთში.

31 წლის წინათ აშენებულ ჰიდროელექტროსადგურს აქვს 1300 მეგავატის სიმძლავრე, მაგრამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ამორტიზაციის გამო სრულად არ ხდებოდა მისი ექსპლოატაცია. კაშხალი დასავლეთ საქართველოშია, მართვის პულტი კი აფხაზეთის გალის რაიონში. ელექტროენერგიას იყოფდნენ ქართველები და აფხაზები. „რაო ეეს როსია“ ფლობს მთელ რიგ ობიექტებს საქართველოში, მათ შორის თბილისის ელექტროგამანაწილებელ კომპანია „თელასის“ 75 პროცენტს. საქართველოს ელექტროენერგია მიეწოდებოდა და მიეწოდება უწყვეტად, აგვისტოს კონფლიქტის დღეებშიც კი.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ

---

# სამხრეთ ოსეთი გაზს საქართველოდან მიიღებს

**სამხრეთ ოსეთში იყო ეუთოს დელეგაცია, რომელიც არკვევდა საკითხს რესპუბლიკაში რუსეთის გაზის მიწოდების აღდგენის შესახებ, რომელიც მოდის ვლადიკავკაზიდან საქართველოს ტერიტორიის გავლით.** ცხინვალი ბრალს სდებს თბილისს განზრახულ ბლოკადაში გაზის მიწოდებასთან დაკავშირებით. თავის მხრივ, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო ამტკიცებს, რომ ტრანზიტის შეწყვეტის მიზეზია გაზსადენის დაზიანება, რომელშიც დამნაშავე არიან სამხრეთ ოსეთის ძალოვანები და რუსი სამხედროები.

სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა მიიღო ეუთოს დელეგაცია ამ ორგანიზაციის მოქმედი თავმჯდომარის სპეციალური წარმომადგენლის ხარალამპოს ქრისტოპულოსის მეთაურობით. ვიზიტი პრაქტიკულად მთლიანად მიეძღვნა სამხრეთ ოსეთში გაზის მომარაგების აღდგენის საკითხებს, რასაც რუსეთი ახორციელებს საქართველოს ტერიტორიის გავლით. გაზსადენის მარშრუტი გადის ვლადივოსტოკიდან საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ ზემო ლარსის საკონტროლო-გამტარი პუნქტის გავლით თბილისის გარეუბნამდე და შემდეგ მიდის სომხეთში. საქართველოს დედაქალაქის მახლობლად გაზსადენს აქვს განშტოება ცხინვალისკენ. გაზის მიწოდება ამ მონაკვეთზე შეწყდა აგვისტოს ომის შემდეგ.

„საბრძოლო მოქმედებების დროს გაზსადენი სამხრეთ ოსეთში რამდენიმე ადგილას დაზიანდა, ჩვენს სპეციალისტებს არ უშვებენ, რათა დაათვალიერონ და შეარემონტონ ის დაზიანებული მონაკვეთები, რომლებიც იმყოფებიან საზღვრის მახლობლად ან თავად სამხრეთ ოსეთში“, — განაცხადა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელმა ალექსანდრე ხეთაგურმა, როდესაც სიტუაციის კომენტარს აკეთებდა. სამხრეთ ოსეთის მეზობელი რეგიონის შიდა ქართლის ხელმძღვანელმა ვლადიმერ ვარძელაშვილმა, მართალია, აღიარა, რომ გაზსადენი დაზიანებულია თავად საქართველოშიც, მაგრამ ამაში ბრალი დასდო ცხინვალსა და მოსკოვს. „დაე, სეპარატისტებმა და მათმა მხარდამჭერებმა თავიანთ თავს დააბრალონ — მათ დაიწყეს ომი, შემოიჭრნენ საქართველოში და დააზიანეს გაზსადენი ვარიანი-ნიქოზი, რომლის რემონტიც საქართველოს ბიუჯეტს ძალიან ძვირი დაუჯდება, — განაცხადა ქართველმა ჩინოვნიკმა. — ჩვენ ვეწევით აღდგენით სამუშაოებს, მაგრამ ამისთვის საჭიროა დრო“.

ცხინვალში კი ამტკიცებენ, რომ გაზსადენი გაარემონტეს ჯერ კიდევ 2008 წლის ოქტომბერში და, რომ საქართველო წინასწარი განზრახვით არ ატარებს გაზს. როდესაც ევროპა რამდენიმე დღით დარჩა უგაზოდ, ევროკავშირმა მოახდინა სწრაფი რეაგირება ამ სიტუაციაზე. სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლები კი რჩებიან უგაზოდ დანგრეულ სახლებში უკვე მეექვსე თვეა! — გაოცებული ლაპარაკობდა კოკოითი ეუთოს ჩინოვნიკებთან შეხვედრაზე. — რუსეთის გაზის დაბლოკვა, რომელიც გადის საქართველოს ტერიტორიაზე, მხოლოდ პოლიტიკური საკითხია. ტექნიკურ უწესრიგობებზე მითითება არასერიოზულია. პრობლემა შეიძლება გადაიჭრას მოკლე დროში, უბრალოდ ვენტილის გადატრიალებით“. „არაფერი დაზიანება ჩვენს მონაკვეთზე არ ყოფილა — გაზსადენ აგარა-ცხინვალის მილი მიწისქვეშ გადის“, — მხარს უბამს პრეზიდენტს სამხრეთ ოსეთის პირველი ვიცე-პრემიერი ჰასან პლიევი.

სამხრეთ ოსეთის გაზით მომარაგების საკითხში ჩაერთო მოსკოვიც. დეკემბერში რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა მიმართა ეუთოს მოწოდებით, მოახდინოს ზეგავლენა საქართველოზე, რათა მან შეწყვიტოს „სამხრეთ ოსეთის ანტიჰუმანური ბლოკადა“. შედეგად, ჟენევაში მოლაპარაკების დეკემბრის რაუნდის დროს საქართველომ ვალდებულება იკისრა, აღადგინოს გაზის მიწოდება „ყველა რეგიონში, რომლებიც დაზარალდნენ კონფლიქტისგან“. მაგრამ თბილისში გაზის მიწოდების აღდგენას უკავშირებენ კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო მეთვალყურეების გაგზავნას. „მოლაპარაკების დროს ჟენევაში საკითხი შეეხებოდა იმას, რომ ყველა საკითხი უნდა გადაიჭრას მხოლოდ პარალელურად საერთაშორისო მეთვალყურეების დასწრებით, — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა კახა ჩიტაიამ. — ჟენევის შეთანხმებით გაზი უნდა მიეწოდოს ყველა რეგიონს, რომლებიც დაზარალდნენ კონფლიქტისგან, მათ შორის ქართულ სოფლებსაც სამხრეთ ოსეთში. ხოლო თუ დაწვეს და გაანადგურეს ყველა ქართული სოფელი, გამოდევნეს მოსახლეობა, მაშინ იქ უნდა შეუშვან მეთვალყურეებიც, რათა ჯერ გავარკვიოთ, რამდენი ქართველი დარჩა იქ და როგორ ცხოვრობენ ისინი. მაგრამ ყველა წინადადებაზე ჩვენ უარს ვღებულობთ“.

ამ დროს სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო მეთვალყურეების შეშვება შეუძლებელია ფორმალურადაც — 1 იანვარს დამთავრდა ეუთოს მეთვალყურეთა მისიის მოქმედების ვადა საქართველოში და რუსეთის ფედერაციამ ხმა მისცა მისი გაგრძელების წინააღმდეგ. „ხარალამპოს ქრისტოპულოსი ჩავიდა ცხინვალში, როგორც ეუთოს წარმომადგენელი, მაგრამ არავითარი გადაწყვეტილება, რომლებსაც ექნებოდა სავალდებულო ხასიათი, მას არ შეუძლია რომ მიიღოს. ეს სიტუაცია არ აისახება საქართველოში ეუთოს მეთვალყურეთა რაიმე მოხსენებაშიც — ამ ქვეყანაში მისია უკვე აღარ არის“, — განაცხადეს ეუთოს სამხედრო შტაბ-ბინაში.

ეს ნიშნავს, რომ სამხრეთ ოსეთში გაზის მიწოდების პრობლემა კარდინალურად გადაწყდება მხოლოდ ძაუჯიკაუ-ცხინვალის გაზსადენის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, რომელსაც „გაზპრომი“ აშენებს პირდაპირ ჩრდილოეთიდან სამხრეთ ოსეთში.

**გიორგი დვალი,**
**ალექსანდრ გაბუევი**

Коммерсантъ

◎ ვითხოვ სიტყვას!

***სამწუხაროა, რომ ერთ დროს ობიექტური ტელეკომპანია „რუსთავი-2“ დღეს ასეთად აღარ მოიაზრება. ობიექტურობას ვინღა დაეძებს, დიდი ხანია, რაც ეს ტელევიზია სახელისუფლებო პროპაგანდის რუპორია და სხვა არაფერი. ესეც იქით იყოს — ბოლოს და ბოლოს, რაგინდ მძლავრი სიცრუის მანქანა მუშაობდეს, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს. განსაკუთრებით XXI საუკუნეშია ძნელი, ძნელი კი არა, შეუძლებელი, სიმართლის დამალვა. თანაც, ამ ჩვენი ცოდვით სავსე ნაცების ხელისუფლებას შინ თუ გარეთ ისე აქვს თავი მოჭრილი, რომ ამათ რუსთავი-2 კი არა, იოზეფ გებელსი რომ ადგეს საფლავიდან, მისი პროპაგანდაც ვერაფერს უშველის.***

***საგანგაშო და დამაფიქრებელია, რომ ეს ტელევიზია, უკვე ზემოთ თქმულთან ერთად, სხვა, ჩემი აზრით, უფრო მნიშვნელოვანი მიმართულებითაც ეწევა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მავნებლურ, ანტიქართულ „მოღვაწეობას“, რასაც ახალგაზრდების, მომავალი თაობის გახრწნა-გადაგვარება, ანტიეროვნული ფასეულობების ცუდად შენიღბული პროპაგანდა ჰქვია.***

***იაფფასიანი, უაზრო კინოსერიალები, ვანო ჯავახიშვილის ვითომ იუმორისტული შოუ, რაზედაც წინასწარ ვიღაცამ უნდა შეგიხიცინოს რომ გაგეცინოს. და იუმორის „ევერესტი“, ე. წ. ქლაბშოუ, სადაც წამყვან როლებს ახლო წარსულში ვანოს ნერვების მომშლელი „მეუღლე“, მიშა-ნანული და სხვა „ნიჭიერი ჩაინიკები“ ასრულებენ.***

# „რუსთავი-2“ და... ქლაბშოუს პედერასტები



### „ყველა ადამის შვილია, თათარიც ჩემი ძმა არის“

**ჯერ კიდევ როდის, მრავალი საუკუნის წინათ თქვა ქართველმა კაცმა ეს სიტყვები, რითაც, საკუთარ ტოლერანტობას, შემწყნარებლობას გაუსვა ხაზი სხვა ეროვნებების, რელიგიების მიმართ, მაგრამ რა შუაშია ზემოთ თქმულთან დაკავშირებით თათრებთან ძმობა? — სამართლიანად იკითხავს, ალბათ მკითხველი...**

საქმე ის გახლავთ, რომ ე. წ. ქლაბშოუში, რომლის ხილვის შემთხვევითი „ბედნიერება“ ნაახალწლევს განვიცადე, გავიდა „იუმორისტული“ ნომერი, რომლის სათაურიც ასე გამოგვიცხადა ქლაბშოუს ერთმა ვარსკვლავმა ოფოფივით ქოჩორდაყენებულმა, საყურეებიანმა ნიკა გრიგოლიამ — „პედერასტმა, თოვლის პაპა სახლში გამოიძახა“. ალბათ გსმენიათ, რომ თბილისში არსებობს ასეთი სერვისი — ტელეფონით თოვლის პაპის, უფრო სწორად, სანტაკლაუსის გამოძახება.

„იუმორისტული“ ნომრის მოკლე შინაარსი, სცენარის არსი ასეთი იყო: — კარებზე ზარი ირეკება და შემოდის სანტაკლაუს-თოვლის პაპა, რომელსაც სიხარულით ეგებება „ზაკაზის“ ავტორი, მასპინძელი, ქართველი პედერასტი, ვის როლსაც შესაშური დამაჯერებლობით ასრულებს ვანო ფხაკაძე. რა თქმა უნდა, „პეტუხებისთვის“, დამახასიათებელი „ფოეფოე“ მანჭვაგრეხით, პედერასტული გატყლარჭული ტექსტით: „შენ თოვლის პაპა ხარ? არა, მოდი თოვლის პოპა იყავი რა! პოპას დაგიძახებ რაა“.

„პოპა“ რუსულად პუტკუნა უკანალს რომ ნიშნავს, ალბათ უჩემოდაც კარგად მოეხსენება მკითხველს. ჰოდა, დიდი ხვეწნა არ დასჭირვებია გამოძახებით მისულ პაპას. ხალისით დათანხმდა, „პოპა“ ვიქნებიო, და საახალწლოდ სოდომური ვნებით ალტკინებულ პედერასტს საჩუქრად ჩურჩხელას გადასცემს, რომელსაც პედერასტი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებს და „პოპას“ ეკითხება — სად აქვს ამას „კნოპკა“, რას უნდა დავაჭირო ხელი?..

ანუ, სცენარის ავტორის ჩანაფიქრი, ჩემი აზრით, ის იყო, რომ ქართულ ჩურჩხელას თავისი გრძელი ფორმის გამო, სხვა, პედერასტული ასოციაციები უნდა გამოეწვია. როცა პედერასტი მიხვდება, რომ საჩუქარი მექანიკურძრავიანი „ასო“ კი არა, ჩვეულებრივი ჩურჩხელაა, ზიზღით მოისვრის, ეს რად მინდაო, შეჰკივლებს.

თუ სხვა რამე გინდოდა, ერთი 20 ლარი დაამატე და მოგართმევო. პედერასტი უმალ ჯიბიდან დააძრობს 20-ლარიანს, „პოპა“ გაიხდის სანტაკლაუსის ხალათს და ლამის დედიშობილა, მათრახით ხელში გაეკიდება ნეტარების მომლოდინე პედერასტს. მათრახით იმიტომ, რომ მანამდე შესთხოვს — მატკინე, რამე მატკინეო. ესეც პედერასტებისთვის ჩვეული მაზოხიზმია მთავარი სიამოვნების მიღების წინ.

მკითხველმა მომიტევოს ლამის დეტალური თხრობა ამ ამაზრზენი სცენისა. ზემოთ ვთქვი, შემთხვევით ვუყურე ამას-მეთქი. ანუ, არხების გადართვა-გადმორთვის დროს წავაწყდი. ისე, ღმერთმა დამიფაროს სულის გამხრწნელი სერიალებისა თუ შოუების ცქერისგან.

ახლა, რაც შეეხება „თათრებთან ძმობას“. დიახაც, „ყველა ადამის შვილნი ვართ“, მაგრამ ჩემთვის და, დარწმუნებული ვარ, ქართველთა უმრავლესობისთვის, სხვა ერების, რელიგიების მიმართ შემწყნარებლობა, სულაც არ ნიშნავს იგივეს ე. წ. სექსუალურ უმცირესობებთან, უფრო გასაგებ, თბილისურ ენაზე, პედერასტებთან მიმართებით.

რა ვქნა, ასეთი ჩამორჩენილი, გაუნათლებელი „გოიმი“ ვარ. პედერასტები ავადმყოფებად არ მიმაჩნია. არც ღვთის შვილებად, ასეთი ხალხი ეშმაკის ნაშიერები მგონია და თუ ჰიტლერივით მათი ფიზიკური განადგურება არ მინდა, არც ის მსურს, რომ ხვალ რუსთაველზე „პარადი“ ჩაგვიტარონ (რისი მცდელობაც უკვე იყოძ.

არადა, სწორედ ამისკენ არის მიმართული ზემოთ ხსენებული კლაბშოუც და სხვა ათასგვარი გარყვნილება, რაც უხვად იღვრება ე. წ. „თავისუფალი ტელევიზიებიდან“. რომ მსგავსი ტელეშოუებით მიაღწიონ საზოგადოების ტოლერანტობას თუ არა, გულგრილობას მაინც გეების, ლესბოსელების და ა. შ. მიმართ, რათა მომავალში მაინც განახორციელონ დიდი ხნის ნანატრი აღლუმი რუსთაველზე. ამის შესახებ არაერთხელ და, ბოლოს, საშობაო ეპისტოლეშიც ბრძანა საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა ილია II-მ.

ეს წერილი თითქმის მზად მქონდა, როცა „ასავალ-დასავალში“ წავიკითხე ჩემი უმცროსი მეგობრის ჯაბა ხუბუას წერილი, სადაც საუბარი იყო ქართველი პედერასტებისთვის გამოცემულ ჟურნალ „მე“-ს შესახებ, რომელიც გეების, ლესბოსელების თუ სხვა ქრისტეს ფეხის მკვნეტელთა სამოთხიდან — ჰოლანდიიდან ფინანსდება და უფასოდ ვრცელდება ეს მაღალი პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული, ძვირადღირებული ჟურნალი, საქართველოს პედერასტებისთვის.

საქართველო, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, აგრესორ რუსეთთან ერთად, იმ ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება, სადაც, ღვთის მადლით, ჯერ კიდევ ვერ მოახერხეს პედერასტებმა აღლუმის ჩატარება!!!

ჯაბა ხუბუას წერილიდანვე შევიტყვე, რომ **თურმე ქართველ პედერასტებსა და მათ მფარველებს, ასევე პედერასტებს ხელისუფლებაში, ევროპის სასამართლოში უჩივლიათ, ჩვენთვის, პედერასტების ვერშემგუებელი ხალხისთვის, როგორც ჰომოფობიების, ანუ, კაცთმოძულეთათვის და ჩვენი დედაეკლესიისთვის, როგორც აგრესიული ძალისთვის!!!**

**ღმერთმა დაგვიფაროს რომ ქართველმა პედერასტებმა მსოფლიოს თანამოძმეებს უპატაკონ — „თბილისის თავზე ცისფერი დროშა ფრიალებს!“**

ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: ჩემთვის ლიბერალური დემოკრატიის ხიბლი იქ მთავრდება, სადაც ჩემი უფლებები პედერასტებისას უთანაბრდება. 100 ათასი წმინდანის თბილისი სოდომ-გომორის მიმდევართა წასაბილწად არ მემეტება. თბილისის თავზე ცისფერი დროშის ფრიალს, თუ სხვა გზა არ იქნა, ისევ რუსული დროშა მირჩევნია.

**დაბოლოს, პედერასტებო და მათო მფარველებო! ევროპის სასამართლოში კი არა, როგორც მამაჩემის თაობის თბილისელები ამბობდნენ, თუ გინდათ ზემელზე დამწვარ აფთიაქში გვიჩივლეთ! საქართველოში „პარადებს“ ვერ ეღირსებით!!!**

**დავით მხეიძე**

◎ ვითხოვ სიტყვას!

# სკივრიდან ამოკრეფილი ფიქრები

**მთელი ცხოვრება ვაწვები სიტყვას, მხატვრულს, რა თქმა უნდა. ჰო, ვაწვები, მაგრამ აქეთაც მაწვება, კარგა მოძლიერებულადაც. ასეა, მაგრამ ისეთი ყოფა დაგვიდგა, პოლიტიკას ვერა და ვერ გაექცევი. აი, ამჯერად მეც გამექცა კალამი პოლიტიკისკენ. თუ დამიბეჭდეს ნაფიქრი, ხომ კარგი, არადა აგერ არ მაქვს უზარმაზარი სკივრი, ჩავდებ შიგ... განისვენოს.**

### СУДАРЬ მედვედევმა...

**ჰო, ეს რა თქვა, კაცო! საქართველოს მთავრობაზე ვიყავი გაბრაზებული და ომი იმიტომაც დავიწყეო. შე დალოცვილო (მათ შორის ჩვენი პატრიარქის მიერაცძ, მთავრობამ თუ გაგაბრაზა, უბრალო ხალხს რას ერჩოდი, ლტოლვილებად რომ აქციე, მათ საცხოვრებლებს კი „მედვედივით“ დაერიე; ეკლესიებმა, ტყეებმა და სკოლებმა რა დაგიშავეს. ცხენს ვერ მოერიე და უნაგირს ეცი?**

არც ის დაგვავიწყდეს Сударь მედვედევის აღიარებამ მდუღარე წყალი გადაასხა იმ ქართველ პოლიტიკოსებს, რომლებიც კრემლის საამებლად გვიმტკიცებენ, ომი საქართველომ დაიწყოო. იმ მდუღარე ჭავლით გაიწუწნენ, როგორც მანდილოსანი პოლიტიკოსები, ასევე ქუდოსნებიც. იმ ჭავლს თავი, მგონი, ირაკლი ალასანიამ არ შეუშვირა. ჯერ ეგრე ჩანს და...

### შამბას ვეხმაურები

**ამას წინათ, სერგეი შამბამ ჟენევაში განაცხადა: ქართველი დევნილები კი არა, ჩვენი ვერ დაგვიბრუნებიაო. შამბამ არ დააზუსტა, თუ რამდენი აფხაზი ცხოვრობს ამჟამად აფხაზეთის მიღმა. 40 000, ბატონო სერგეი! შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ამ 40 ათასს შენც და ბაღაფშიც მიემატოთ. კი, ასეც იქნება, მთელი აფხაზეთი რუსეთს თუკი ჩააბარეთ. ისინი ხომ ბევრი არიან და აფხაზებისთვის სადღა დარჩება ადგილი!**

ვთქვათ გულახდილად: ბაღაფში-შამბას ტანდემმა არძინბაც კი მოგვანატრა. ახლა ამ წყვილს ღვინჯიაც დაემატა. ცნობისათვის „ღვინჯე“ მეგრულად მწიფეს ნიშნავს და... ეს სამეული ამჟამად ნამეტანი ამწიფებს აფხაზების გადაგვარებას. მათგან ერთი — შამბა აფსუაა, დანარჩენი ორი — გააფსუებული ლაზი.

**ანზორ გვარამია,**
**მწერალი.**

**რედაქცია** *კოსტავას 12*
*„საქართველოს რესპუბლიკაში“* **98-65-87; 899 32-85-76.**

**შპს „სამოქალაქო საქმეთა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ დებულებაში (დამტკიცებულია პარტნიორთა 2003 წლის 7 ოქტომბრის №2 კრების ოქმით და გამოქვეყნებულია 21.10.2003 წლის გაზეთ „თბილისში“ძ შეტანილი იქნას შემდეგი დამატებები და ცვლილებები:**

**I. დებულებიდან ამოღებულ იქნას და გაუქმდეს 4.6.[1] მუხლი.**

**II. დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 11.20 მუხლი:**

11.20. მხარეს უფლება აქვს საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე საკუთარი განცხადების საფუძველზე გამოითხოვოს საქმე უკან. საქმის გამოთხოვის შემთხვევაში არბიტრაჟს, ხოლო თუ არბიტრაჟი შექმნილი არ არის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს, გამოაქვს დადგენილება საქმის განუხილველად დატოვების შესახებ. მხარის განცხადების საფუძველზე საქმის მოთხოვის შემთხვევაში მხარეს უბრუნდება მის მიერ შეტანილი მასალები და საარბიტრაჟო შენატანის 90 პროცენტი.

**III. დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 11.21 მუხლი:**

11.21. საქმის გარემოებიდან გამომდინარე არბიტრაჟს უფლება აქვს განაცხადოს აცილება საქმის მიმართ. ასეთ შემთხვევაში არბიტრაჟს, ხოლო თუ არბიტრაჟი შექმნილი არ არის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს, გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება საქმის განუხილველად დატოვების შესახებ, ხოლო მხარეს უბრუნდება მის მიერ შეტანილი მასალები და საარბიტრაჟო შენატანი სრულად.

**IV. დებულების 11.19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

11.19. თუ საარბიტრაჟო შეთანხმებიდან ან შესაბამისი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განხილვა შესაძლებელია როგორც არბიტრაჟის მიერ, ასევე საერთო სასამართლოს წესით და მითითებული არ არის, რომ არჩევა ხდება მოსარჩელის მიერ, რომელიმე მხარის მიერ საარბიტრაჟო პრეტენზიით მომართვის შემთხვევაში არბიტრაჟი შესთავაზებს მხარეს დავის შპს „სამოქალაქო საქმეთა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ მიერ განხილვას. თუ მოპასუხე მხარე განაცხადებს თანხმობას, მაშინ არბიტრაჟი განიხილავს საქმეს, ხოლო თუ მოპასუხე უარს განაცხადებს, ან საერთოდ არ გამოეხმაურება არბიტრაჟის მიმართვას, მაშინ არბიტრაჟი საარბიტრაჟო პრეტენზიას თავისი დადგენილებით დატოვებს განუხილველს, ხოლო პრეტენდენტს უკან დაუბრუნდება მის მიერ შემოტანილი დოკუმენტები და გადახდილი საარბიტრაჟო შენატანი სრულად“.

**V. ცვლილებები ძალაში შედის მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გამოქვეყნებისთანავე.**

### განჩინება

საქართველოს სახელით

კრედიტორთა რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ

12 იანვარი 2009 წელი ქ. ქუთაისი

**ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ციცინო კიკვაძემ განიხილა სს „მედეას“ კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი**

**გამოირკვა:**

2009 წლის 12 იანვარს სასამართლოს განცხადებით მიმართა კრედიტორმა ქუთაისის რეგიონალურმა ცენტრმა და მოითხოვა კრედიტორთა რიგგარეშე კრების მოწვევა დღის წესრიგით: გაკოტრების მმართველის დანიშვნა.

გამომდინარე აღნიშნულიდან სასამართლომ იხელმძღვანელა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების“ შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით.

**დაადგინა:**

1. მოწვეულ იქნას სს „მედეას“ კრედიტორთა კრება 2009 წლის 16 იანვარს 15 საათზე;
2. კრედიტორთა კრება შედგება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შენობაში (კუპრაძის ქ. №11ძ მესამე სართულზე სასამართლოს სხდომათა დარბაზში;
3. კრებაზე განხილულ იქნას შემდეგი საკითხი:

გაკოტრების მმართველის დანიშვნა.

4. ამ განჩინებაზე კერძო საჩივარი არ შეიტანება.

**მოსამართლე ციცინო კიკვაძე**

პროტესტის ნიშნად?

# ვიდრე იარა მოუშუშდება?!



**იანვარი, მოგეხსენებათ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების თვეა. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ტურნირი ერთადერთხელ გაიმართა სანკტ-პეტერბურგში, დანარჩენ ბატალიებს კი, წლევანდელის ჩათვლით, მოსკოვმა უმასპინძლა.**

დასახელებული ასპარეზობის მონაწილენი ამ დღეებშიც იკრიბებიან რუსეთის დედაქალაქში, თუმცა მათ შორის, გასაგებ მიზეზთა გამო, არ არის საქართველოს წარმომადგენელი – აღნიშნული პრიზის 2004 წლის მფლობელი თბილისის „დინამო“.



რადგან ზემოთ გასაგებ მიზეზებს გავუსვით ხაზი, თითქოს სათქმელიც უკვე ნათქვამია – რა გვესაქმება აგრესორთა საზუდარში?, მაგრამ...

რამდენიმე დღის წინათ ციურიხში ფიფამ განვლილი სეზონის ლაურეატთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი მოაწყო, სადაც განსაკუთრებული პატივი თურქეთისა და სომხეთის ფეხბურთის ფედერაციებს მიაგეს. სამართლიანადაც – შარშან ხომ ისტორიული კატაკლიზმების გამო კარგა ხნის განმავლობაში შეურიგებელმა ოპონენტებმა ერევანში ერთმანეთთან ეპოქალური მნიშვნელობის მატჩი გამართეს, ურთიერთ ზიზღის დაძლევას კი ხელი მნიშვნელოვანწილად ოსმალოთა პრეზიდენტის აბდულა გიულის კეთილმა ნებამ შეუწყო, რომელიც სომეხი კოლეგის სერჟ სარქისიანის მიწვევით ესტუმრა მეზობლებს.

ისე არ გაგვიგოთ, თითქოს მილებული გადაწყვეტილების გამო ვამტყუნებდეთ ჩვენს თანამემამულეებს – თუნდაც თურქულ-სომხური იარის მოშუშებას ხომ ათწლეულები დასჭირდა. ამჯერად ყურადღებას იმ დამოკიდებულებაზე ვამახვილებთ, თანდათანობით რომ უარესობისკენ შეიცვალა სამანეჟო ტურნირად მონათლული შეჯიბრების მიმართ.

კერძოდ, თუ დსთ-ს ჩემპიონთა თასის საწყის გათამაშებებში პოსტსაბჭოთა ქვეყნების საუკეთესო კლუბები უძლიერესი შემადგენლობებით მონაწილეობდნენ, მოგვიანებით ფავორიტები დუბლიორებს აძლევდნენ თავის გამოჩენის საშუალებას, სულ ბოლოს კი საერთოდ აღარ კადრულობდნენ მოსკოვში ჩაბრძანებას – ხელოვნურსაფარიან სარბიელზე მოთამაშეთა ტრავმიანობის რისკი იზრდებაო და ბრძოლის ველზე მათ ნაცვლად სულ სხვა გუნდები გადიოდნენ.

აი, მანდ ვართ ჩვენც – საფუძველს სრულიადაც არ უნდა იყოს მოკლებული ის მოსაზრება, რომ დსთ-ს თასის გათამაშებამ აღნიშნული ფორმატით დრო მოჭამა, ქართულ-რუსული შარშანდელი აგვისტოს ომი კი ბოიკოტირებისთვის მშვენიერი საბაბი გამოდგა.

ბარემ, იმასაც დავსძენთ, რომ როცა ემოციები დაცხრება, შეიძლება, ისევ დადგეს დღის წესრიგში ქართული გუნდის ერთ დროს უფროსი ძმის დედაქალაქში გამგზავრების საკითხი, ოღონდ ერთ რეცეპტს მისი პრესტიჟის ნაწილობრივ ასამაღლებლად ახლავე შემოგთავაზებთ: თუ დსთ-ს თასია, იგი მარტო მოსკოვში კი არა, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოთა სხვა დედაქალაქებშიც უნდა გათამაშდეს.

**გია პლატონიშვილი**

ძიუდო

# ბიბილაშვილმა დაგვაიმედა

**კიევში დამთავრდა ჭაბუკ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი სახელწოდებით „ოლიმპიური იმედი“, რომელშიც 1993-95 წლებში დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ. საპრიზო ადგილებისთვის საქართველოს წარგზავნილებიც იბრძოდნენ. ყველაზე უკეთ 90 კილოში ელგუჯა ბიბილაშვილმა იასპარეზა, რომელმაც იოლად სძლია უკრაინელებს – ალექსანდრ მულიარსა და გლებ ბუხარინს, ფინალში კი ვაზარით აჯობა მოლდოველ ნიკოლაი გრიგორიცას და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა**. ამავე წონაში გამოდიოდა გიორგი კიბორძალიძე, რომელიც უმედლოდ დარჩა.



სამწუხაროდ, კვარცხლბეკს ვერც გიორგი ჯიბლაძე (81 კგძ და როსტომ ხახალეიშვილი (მძიმე წონაძ შესწვდნენ.

ჭადრაკი

# ნონა – ახალგაზრდების წინააღმდეგ



**თბილისის ჭადრაკის სასახლეში ხვალ გაიხსნება საქართველოს მოჭადრაკე ქალვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი, რომელიც წრიული სისტემით გაიმართება.**

ქალებში თორმეტი მანდილოსანი იბრძოლებს საპრიზო ადგილებისთვის. ყველაზე მოულოდნელი და სასიამოვნოც ის არის, რომ მრავალწლიანი შესვენების შემდეგ ახალგაზრდებს ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი დაუპირისპირდება. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზით ვერ ითამაშებენ მაია ჩიბურდანიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნანა ძაგნიძე და ინგა ჭარხალაშვილი (ინგა ვაჟებში ცდის ძალებსძ. ამდენად, ქალთა ეროვნულ ჩემპიონატში იასპარეზებენ: მაია ლომინეიშვილი (2437ძ, სალომე მელია (2422ძ, ნინო ხურციძე (2421ძ, სოფიკო ხუხაშვილი (2416ძ, სოფიო გვეტაძე (2377ძ, ნონა გაფრინდაშვილი (2350ძ, მირანდა მიქაძე (2287ძ, სოფიკო გურამიშვილი (2281ძ, ნაზი პაიკიძე (2280ძ, მერი არაბიძე (2246ძ, ქეთი წაწალაშვილი (2231ძ, მარიამ დანელია (2219ძ.

ვაჟთა ჩემპიონატში ძალებს გამოცდიან მიხეილ მჭედლიშვილი, ლევან ფანცულაია, მერაბ გაგუნაშვილი, დავით არუთინიანი, კონსტანტინე შანავა, თორნიკე სანიკიძე, დავით მალალაშვილი, გიორგი ბაღათუროვი, გიორგი მარგველაშვილი, გაიოზ ნიგალიძე, დავით ბენიძე, ინგა ჭარხალაშვილი, ლევან ბრეგაძე და შოთა აზალაძე.



ინტერნეტიდან

## სუმოისტს სიკვდილით ემუქრებიან



**იაპონურმა პოლიციამ სამშაბათს გააძლიერა ერთ-ერთ სავარჯიშო კომპლექსში ეროვნული ჭიდაობის – სუმოს – ორი დიდი ჩემპიონიდან, ერთის, მონღოლი ასასირიუს („დილის ცისფერი დრაკონი“ძ დაცვა.**

როგორც იტყობინებიან, ასეთი ზომების მიღება საჭირო გახდა ინტერნეტში ანონიმური მუქარის – უმაღლესი ტიტულის იოკოძუნის მქონე 28 წლის სპორტსმენის მოკვლის შესახებ, გაჩენის შემდეგ. ასასირიუ ხომ სუმოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მოჭიდავეა – მან 22 ტურნირი მოიგო.

თუმცა დაცვა გააძლიერა, პოლიციას მიაჩნია, რომ ეს მუქარა ბლეფია და გამიზნულია სპორტსმენის ასეთი წარმატებული გამოსვლების ხელის შესაშლელად. ის ხომ თავისი მაღალი მორალური თვისებების გამო ახალგაზრდობის მაგალითად ითვლება.

## რწმენა რა შუაშია?!

**მსოფლიო ფეხბურთის შტაბმა – ფიფამ დაიწყო ბუქარესტის „სტიაუადან“ ფიზიკური მომზადების მწვრთნელის, თურქ იუქსელ იესილოვის დათხოვნის მიზეზების გამოძიება. მუსულმანი იესილოვი ამტკიცებს, რომ ის სამსახურიდან დაითხოვეს მისი რელიგიური რწმენის გამო, რის დასამტკიცებლადაც მოაქვს „სტიაუას“ მფლობელის ჯიჯი შეკალის ნათქვამი: „სტიაუა“ ქრისტიანული გუნდია! ვფიქრობ, რომ ბოლო წარუმატებლობანი დაკავშირებულია ამასთან. არ მინდა მისი კიდევ დანახვა! არ შეიძლება გუნდში გვყავდეს მუსულმანი, რომლის მაისურზე და ავტობუსზე ქრისტიანული ჯვარია“.**



იესილოვმა „სტიაუაში“ თითქმის ერთი თვე იმუშავა. იქ ახალ მთავარ მწვრთნელ დორინელ მუნტეანუსთან ერთად მივიდა, რომელიც ასევე მალე გაუშვეს. ამ ხნის მანძილზე გუნდმა რვა მატჩიდან მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა, ოთხჯერ ფრედ ითამაშა და სამჯერ დამარცხდა.

თუკი იესილოვის პრეტენზიები დამტკიცდება, „სტიაუას“ მოელის მკაცრი სასჯელი, ევროთასების გათამაშებებიდან მოხსნის ჩათვლით. მით უმეტეს, რომ „სტიაუასათვის“ ეს პირველი შემთხვევა არაა. 2005 წელს კლუბის სტადიონი დისკვალიფიცირებულ იქნა „შელბურნის“ შავკანიანი ფეხბურთელის მიმართ გულშემატკივრების რასისტული გამოხდომების გამო.

## გარდაიცვალა ლეგენდარული ფეხბურთელი



**ის 84 წლის იყო. 1950 წელს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გაიტანა გოლი ურუგვაის ნაკრების კარში, თუმცა მაშინ მას ბრაზილიისთვის წარმატება არ მოუტანია. ის მაინც დამარცხდა – 1:2.**

დიახ, გარდაიცვალა ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი ფრიაკა. მან კარიერა 1943 წელს დაიწყო და 1958 წელს დაამთავრა.

სიკვდილის მიზეზად პნევმონიას თვლიან. ექვსკვირიანი ჰოსპიტალიზაციის შემდეგ აღესრულა ქალაქ იატაპურენაში.

ძველ გულშემატკივრებს არც 200 ათასი მაყურებლის თვალწინ მატჩის 47-ე წუთზე გატანილი ის ისტორიული გოლი დაავიწყდებათ და არც მრავალი სხვა.

## მისი დიდი საიდუმლო

**საქველმოქმედო საზოგადოების Kick 4 Lzife კეთილი ნების ელჩს, 25 წლის ლამაზმანსა და მოდელს ლიუსი პინდერს ფეხბურთი განვითარებად ქვეყნებში სიღარიბესა და დაავადებებთან ბრძოლის უებარ საშუალებად მიაჩნია და მას დიდ დროსაც უთმობს. როგორც თავად ამბობს, ფორმის შენარჩუნებაში ის მეხმარებაო.**

ალბათ ამიტომაცაა, რომ მთელ თავისუფალ დროს ისედაც გადასარევი ფორმების პატრონი „საუთჰემპტონის“ გულშემატკივრობას უთმობს. თუმცა არც იმას მალავს, რომ ერთი დიდ საიდუმლოც აქვს. „ჩემი საიდუმლო მარტივია, – აცხადებს ლამაზმანი, – მიყვარს სექსი, რაც ფორმას მინარჩუნებს“.



ხელოვნება

# გრიგოლ ჟვანია

ქართულმა მეცნიერებამ უზარმაზარი დანაკლისი განიცადა. ოთხმოცდათოთხმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, დიდი თეორეტიკოს-მკვლევარი და პედაგოგი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის პრეზიდენტი გრიგოლ კონდრატეს ძე ჟვანია.

გრიგოლ ჟვანია ოთხმოცდაათამდე ფუნდამენტური გამოკვლევის ავტორია.

ბატონმა გრიგოლმა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში მოჰფინა ნათელი 1921 წლის თებერვლის მოვლენებს საქართველოში. იგი ერთადერთი ქართველი ისტორიკოსი იყო, ვინც დაუშვეს სკკპ პოლიტბიუროს არქივში სამუშაოდ, სადაც მან მართლაც ფასდაუდებელი და უნიკალური დოკუმენტები მოიპოვა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნასა და 1921 წელს საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ამიერიდან, საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის ვერც ერთი მკვლევარი ვერ აუვლის გვერდს ბატონ გრიგოლის სამეცნიერო გამოკვლევებს: „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა“ (1993 წელი); „ევროპა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა“ (1998 წელი). ამ ნაშრომებში პირველად იქნა წარმოდგენილი მრავალი ისტორიული დოკუმენტი, რომლებისთვისაც მანამდე არათუ ფართო საზოგადოებას, თვით მეცნიერებსაც კი ხელი არ მიუწვდებოდათ.



გრიგოლ ჟვანია თითქმის ექვსი ათეული წლის განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უცხო ენათა ინსტიტუტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. მის ლექციებს ხშირად ესწრებოდნენ არა მხოლოდ იმ სასწავლებელთა სტუდენტები, სადაც იგი ლექციებს კითხულობდა, არამედ მოხალისე დამსწრეთა მთელი არმია.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ბატონი გრიგოლი სათავეში ჩაუდგა იმ პერიოდისათვის სრულიად ახალი ტიპის სასწავლებელს — საერთაშორისო სახალხო დიპლომატიის აკადემიას. ეს ფაქტი ბატონი გრიგოლისთვის დამახასიათებელი სიახლის გრძნობისა და შორს გახედვის თანდაყოლილი უნარის ერთი კონკრეტული გამოვლენა იყო.

გრიგოლ ჟვანია ხშირად მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში, სადაც მისი მოხსენებები ყოველთვის იპყრობდა სამეცნიერო წრეების წარმომადგენელთა ყურადღებას. იგი იყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის პრობლემური საბჭოს წევრი. სხვადასხვა დროს იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა დარგობრივი ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭოების წევრი. იყო სადოქტორო თუ საკანდიდატო დისერტაციების ოთხმოცამდე მაძიებელთა ოპონენტი თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადში, ერევანში და საბჭოთა კავშირის სხვა მრავალ ქალაქში. მისი ხელმძღვანელობით ოცზე მეტმა მეცნიერმა დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ბატონი გრიგოლი მეცნიერულ მოღვაწეობას კარგად უხამებდა პუბლიცისტურ საქმიანობასაც. სხვადასხვა დროს, როგორც ქართულ, ასევე რუსულ პრესაში მას გამოქვეყნებული აქვს ექვსასამდე სტატია, ნარკვევი, პოლემიკური ხასიათის წერილი თუ რეცენზია.

ბატონი გრიგოლი ხანდაზმულობის ასაკშიც შესაშური ენერგიით, ხალასი მეხსიერებითა და შეუვალი პრინციპულობით მონაწილეობდა საქვეყნო საქმეებში. იგი, ხელმძღვანელობდა რა საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიას, სისტემატურად აწყობდა ქვეყნისთვის საჭირბოროტო საქმეებთან დაკავშირებულ სამეცნიერო კონფერენციებს, აქტიურობდა პრესაში.

ბატონმა გრიგოლმა შესანიშნავი შვილები და შვილიშვილები აღზარდა. იყო მზრუნველი მეუღლე, მამა და ბაბუა.

ბატონ გრიგოლის ცხოვრების წესი, ადამიანური ხიბლი და სითბო, მეგობრებსა და ახლობლებთან ურთიერთობები, პატრიოტული სულისკვეთება და მეცნიერული კეთილსინდისიერება სამაგალითოდ დარჩებათ მომავალ თაობებს.

წავიდა ჩვენგან ბატონი გრიგოლი, წავიდა ვაჟმოხდილი და პირნათელი, წავიდა და დატოვა მონატრების გრძნობა, ამქვეყნად მისი არყოფნით გამოწვეული სევდა და სინანული, მაგრამ, ამავე დროს, დატოვა უკეთესი მომავლის რწმენა და ოპტიმიზმი, რომ საქართველო ახლო მომავალში სწორედ ისეთი ქვეყანა გახდება, როგორ ქვეყანაზეც ბატონი გრიგოლი ოცნებობდა.

ნოდარ ჭითანავა, ვალერიან ადვაძე, ჯანსულ ჩარკვიანი, რევაზ მიშველაძე, თამაზ წივწივაძე, ლორიკ მარშანია, შახო გერგედავა, გოგი ოთარაშვილი, გიორგი ბიჭაშვილი, ვილენ ალავიძე, ანზორ შონია, ირაკლი ანდრიაძე, კლიმენტი შელია, რამინ კვარაცხელია, ვაჟა ბერიძე, ოთარ აბუთიძე, ზაურ ნაჭყებია, ოლეგ კეშელავა, ავთანდილ მარგიანი, ვალერი კვარაცხელია.

ხელოვნება

# ზურაბ გიორგაძე



ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ინსტიტუტი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის თანამშრომელი, პედიატრი ზურაბ გიორგაძე.

იგი იყო პირველი ბავშვთა ენდოკრინოლოგი, ვინც მოსკოვში ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, დაბრუნდა თბილისში და ჟორდანიას ინსტიტუტში დაიწყო მოღვაწეობა. მან შემოიტანა არაერთი სიახლე ბავშვთა ენდოკრინოლოგიაში და საერთოდ პედიატრიაში, მისი პიროვნება იზიდავდა არა მარტო მშობლებს, არამედ ბავშვებსაც; თანამშრომლებისთვის უბრალოდ „ზურა“, ხოლო პატარა პაციენტებისთვის უსაყვარლესი „ზურა პაპა“.

ზურა პაპა! თოვლის ბაბუასავით თეთრი წვერით დამშვენებული, მკურნალი სულისა და გონების...

ჩვენ ხომ ჩვენი ცხოვრება უაზრო ფაფხურს დავამგვანეთ, სადაც სინდის-ნამუსი, მოვალეობა თითქმის სასაცილო მცნებებად იქცა. ყველა ხმალს ვერ იმარჯვებს ხელში! ამიტომ განერიდა ყოველდღიურობას და განმარტოებით გააგრძელა ფიქრი და სიყვარული...

წავიდა ისე, როგორც სჩვევიათ უპრეტენზიო სულიერების ადამიანებს: წყნარად და უჩუმრად.

ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ზურაბ გიორგაძის ოჯახს.

გახსენება

# თემურ შურღაია



თითქმის 2 თვე გავიდა რაც ჩვენგან წახვედი, ძმაო თემურ! 17 იანვარს კი პირველი დაბადების დღე იქნება უშენოდ.

გვიჭირს, ბიჭო, შენს ოჯახში ამოსვლა...

საფლავზე სიარული უფრო გვიადვილდება.

თვალებში ვერ ვუყურებთ დედაშენს, მთელს საქართველოში ცნობილ ექიმს ქ-ნ დარეჯან ჯოჯუას, რომელსაც შენი მეგობრები და მათ შორის შენი ბიძაშვილი ბესოც კი ხან დარეჯან დეიდას, ხან კი „დედა დარეჯანს“ რომ ვეძახდით. ისიც არ გვრჩებოდა ვალში და დილას სახლიდან თბილ ლობს რომ მოგვიტანდა ხოლმე თავის განყოფილებაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა მრავალი წლის განმავლობაში და თან თანამშრომლებს სთხოვდა, ჩემი ბიჭები არ დამიმშიოთ და იქნებ თემურმაც ერთი-ორი ლუკმა მაინც გადაყლაპოსო. შენ ხომ, თემო, ჩვენთან, თბილისიდან ჩამოსულ ექიმთა ბრიგადასთან ერთად, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ათენ-ალამებდი სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში და დედაშენთან, საავადმყოფოს მთელს კოლექტივთან ერთად ცდილობდი ოჯახმოწყვეტილი კოლეგების ყოფაცხოვრების შემსუბუქებას, თუნდაც იმით, რომ ერთად ვუძლებდით ომის ჭირ-ვარამს.

გვიჭირს, ბიჭო, შენს საყვარელ ორ მარინასთან, მეუღლესთან და დაიკოსთან ლაპარაკი. ან რა უნდა ვუთხრათ, რით ვანუგეშოთ. მათ ხომ ისედაც კარგად იციან, თუ რას ნიშნავდა ჩვენთვის ზოგადად დარბაისელი, მაგრამ ხანდისხან გულფიცხი და ჭეშმარიტად გულანთებული მამულიშვილი. შენთან დაკავშირებული რამდენი რამ გავიხსენოთ, თემურ. თუნდაც ის რად გვიღირს მოსაგონრად, როდესაც ვახტანგ გორგასლის ორდენს გადმოგვცემდნენ, როგორ აკიაფდა შენს სევდიანად მომღიმარ თვალებში ვაჟკაცის ძუნწი ცრემლები და როგორ ცდილობდი ჩვეული იუმორით მათ დაფარვას: „აჰა, ხომ ხედავთ 12 კაცში მაინც ორმა შურღაიამ გაჯობეთო“. ეჰ, ნეტავ იმ დროს, ჩვენო ძმაო.

შენს ბიჭებთან უფრო გვიადვილდება ურთიერთობა. კარგი ბიჭები გეზრდება, თემურ — არსენა და ლაშა — ბიჭები კი არა, კაცები არიან. გავა წლები, დაფრთიანდებიან და გააგრძელებენ ექიმი შურღაიების სოხუმურ შტოს. შენით და დიდი ბაბუების ასევე შესანიშნავი ოფთალმოლოგის არსენ შურღაიას და ბრწყინვალე ადამიანის, საზოგადო მოღვაწის ჯუმბერ ჯოჯუას სახელებით.

ბევრი ნათესავი, ბავშვობის თუ მერე შეძენილი მეგობარი დაგვიკარგავს ამ 15 წლის განმავლობაში. ვაი, რომ უცაბედად, ყველასთვის მოულოდნელად და ნაადრევად შეუერთდი მათ რიგებს ზეციურ საქართველოში ჩვენო თემო.

კიდევ ერთი ტკივილი გაგვყვება შენი წასვლით ჩვენ, შენს კოლეგა-მეგობრებს სიცოცხლის ბოლომდე და მარად დაგვრჩება მეხსიერებაში შენი სევდაგარეული ღიმილიანი სახე, რომლითაც ასე დაგემსგავსა შენი ორი ვაჟკაცი.

...გვიჭირს, თემო, შენს ოჯახში ამოსვლა.

დღეს, წლისთავზე და მრავალი წლის შემდეგ — შენს დაბადების დღეზე, მაინც ამოვალთ ბიჭები შენს საფლავთან და თითო ჭიქა ღვინით და კაცური ძუნწი ცრემლებით დავასველებთ სოხუმ-თბილისურ მიწას.

ვლადიმერ გიორგაძე, გურამ გვასალია, ვაჟა თოიძე, ნოდარ ლებანიძე, ირაკლი მენაღარიშვილი, ბაადურ მოსიძე, ზაზა მეტრეველი, გიორგი ნიშნიანიძე, კოტე ყიფიანი, რეზო ჯიჯეიშვილი, მამუკა ჯანგავაძე, ავთანდილ ჯორბენაძე, ბესიკ შურღაია.

## სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ რიგგარეშე აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგი:

1. სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს შესახებ;
2. სხვადასხვა.

კრება გაიმართება 2009 წლის 13 თებერვალს 15 საათზე სათაო ბანკის ოფისში: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გმზ. №74, საკონფერენციო დარბაზი, მე-6 სართული.

ბანკის აქციონერებს საკუთარი უფლებამოსილების შემოწმება შეუძლიათ შპს „საქართველოს სარეგისტრაციო ბიურო-ში“ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან, მდებარე ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზირი №50, მეორე სართული. კრების სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2009 წლის 14 იანვარი.

სამეთვალყურეო საბჭო

## განცხადება

2009 წლის 30 იანვარს 14 საათზე წყალტუბოში, სოფ. გეგუთში შპს „გეგუთი 96“ ტერიტორიაზე ტარდება აუქციონი, რომელზეც გასაყიდად გამოდის შპს „გეგუთი 96“ უძრავ-მოძრავი ქონება. მიწის ნაკვეთი 1084 კვ.მ. ტექნოლოგიური ხაზი კომპრესორი 24/9, 2 ტრანსფორმატორი 400 კვტ. და 600 კვტ სამტვრეველი, ელევატორი 3 ცალი, ბუნკერი 4 ცალი, ბურთულებიანი წისქვილი, დეზინტეგრატორი, ტივიოსი, ფილტრი, 50-ტონიანი სასილოსე ბუნკერი, მაღალი ძაბვის საჰაერო ხაზი 800მ., არტეზიული ჭა, საყარაულე ჯიხური.

მეორე აუქციონზე გასაყიდი სამეურნეო ქონების საწყისი ფასი განისაზღვროს 182000 (ასოთხმოცდაორი ათასი) ლარის ოდენობით.

განცხადებები მიიღება 2009 წლის 30 იანვრის 13 საათამდე.

მონაწილეობის მიღების საერთო თანხაა ქონების საერთო ღირებულების 2%.

შპს „გეგუთი 96“-ის გაკოტრების მმართველი
ეკატერინე ჯავახაძე

ტელ. 899 54-43-03.

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

საქართველოს პარლამენტის მე-2, მე-3, მე-4 მოწვევის ფრაქცია „აფხაზეთის“ წევრები ვახტანგ ყოლბაია, გივი ლომინაძე, გენო კალანდია, თენგიზ კალანდაძე, დიმა ჯაიანი, გია გვაზავა, დავით გვაძაბია, ვალერი ჭანტურია, ოთარ ჭითანავა, ვოვა ქარსელაძე, ბესო ლაგვილავა იუწყებიან

ჯანო ჯანელიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის კოლექტივი, რექტორის, პროფესორ ამირან მექვაბიშვილის სახით, იუწყება საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს

გრიგოლ ჟვანიას

გარდაცვალებას და ღრმა სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რეზო ჭიჭინაძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება უსაყვარლესი ბიძაშვილის

თემიკო ჭიჭინაძის

გარდაცვალებას.

ბაზო და გოგი ჭიჭინაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ნათესავის

ბესიკ შავგულიძის

გარდაცვალებას.

## განცხადება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „როლაკო“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: მცხეთა, ნატახტარი. ტელეფონი — 899 580330, 890999936.

ლიკვიდატორი რობერტ იანტბელიძე

ინფორმაცია

## პანოები პრეზიდენტის რეზიდენციისთვის

**პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში მოზაიკური პანოები დამონტაჟდება.**

შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფამ" გამოაცხადა ტენდერი ავლაბრის ადმინისტრაციული კომპლექსის შენობის ფრიზის დეკორაციისა და მოზაიკური პანოების შესრულების სამუშაოების შესყიდვის მიზნით.

როგორც სატენდერო განცხადებაშია აღნიშნული, შენობის ფრიზის დეკორაციიისა და მოზაიკური პანოების სიგრძე 17,23 მეტრი იქნება, ხოლო სიგანე – 1,33 მეტრი. სამუშაოები ხელშეკრულების დადებიდან 120 დღის განმავლობაში უნდა შესრულდეს.

## გააძევეთ მოსახლეობის დამტერორებელი „ყაზტრანს-გაზი"!

**„ლეიბორისტები" მთავარ პროკურატურას „ყაზტრანსგაზ-თბილისის" საქმიანობის შესწავლასა და ყაზახური კომპანიის საქართველოდან გაძევებას ითხოვენ.**

როგორც პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა პაატა ჯიბლაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, სემეკ-ის დაჯარიმებისა და წერილობითი გაფრთხილების მიუხედავად, „ყაზტრანსგაზ-თბილისი" დედაქალაქის მოსახლეობის „დატერორებას" აგრძელებს.




მისივე ინფორმაციით, თბილისელი აბონენტები დღესაც იძულებულნი არიან, საკუთარი ხარჯებით შეამოწმებინონ გაზის მრიცხველები და საჭიროების შემთხვევაში 125 ლარადღირებული ახალი მრიცხველები შეიძინონ.

პაატა ჯიბლაძის განცხადებით, მოსახლეობის პრეტენზიებს სემეკ-ი პირველ აპრილამდე განიხილავს, თუმცა „ლეიბორისტები" უფლებაშელახული აბონენტების საკითხის გადაწყვეტას უახლოეს პერიოდში ითხოვენ. თუ სემეკ-ში სხდომა უახლოეს დღეებში არ დაინიშნება, „ლეიბორისტები" იანვრის ბოლოს ქუთაისში სემეკ-ის შენობის, ხოლო თბილისში „ყაზტრანსგაზის" ოფისის პიკეტირებას აპირებენ.

პაატა ჯიბლაძემ პრეზიდენტ სააკაშვილსაც მიმართა და განაცხადა, რომ აუცილებელია, მთავარმა პროკურატურამ დაუყონებლივ დაიწყოს „ყაზტრანსგაზ-თბილისის" საქმიანობის შესწავლა და აღნიშნული კომპანია საქართველოდან გააძევონ.

„ლეიბორისტების" აღმასრულებელმა მდივანმა თბილისის მოსახლეობის მისამართითაც გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ თუ მათ სახლებში „ყაზტრანსგაზის" თანამშრომლები მივლენ და აბონენტებს პირადი ხარჯებით მოსთხოვენ მრიცხველების შემოწმებასა თუ შეცვლას, დაუყოვნებლივ აცნობონ „ლეიბორისტულ პარტიას".

ინტერპრესნიუსი

## ილია II: საქართველო აუცილებლად გამონახავს უფლის გზას

**წმინდა სამების საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საახალწლო მშვიდობის პარაკლისი აღავლინა.**



როგორც პატრიარქმა პარაკლისის დაწყებამდე განაცხადა, ახალი წელი საერო დღესასწაულია, თუმცა ეკლესია ცდილობს, გარკვეული ზეიმით შეხვდეს ამ დღესასწაულს.

– ერს ახარებს ეს დღესასწაული და ეკლესია ცდილობს, სიხარულით მიულოცოს თავის მრევლს ახალი წლის დადგომა. ყოველი დღე უნდა იყოს ახალი წელი, ვინაიდან ყოველ დღეს მოაქვს სიახლე. ჩვენ ვცხოვრობთ წინააღმდეგობებით სავსე სამყაროში და უნდა ვეცადოთ, ვიპოვოთ წინააღმდეგობების გადალახვის გზები. უნდა ვიცოდეთ, რომ არ არსებობს კედელი და ჩიხი. თუ კედელი შეგხვდათ, მას, უბრალოდ, გვერდი უნდა აუაროთ, – ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქის თქმით, საქართველო არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა და აუცილებლად გამონახავს უფლის გზას.

კათოლიკოს-პატრიარქმა ქართველ ერს გამთლიანება, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება უსურვა.

– შევთხოვ უფალს, რომ ეს წელი იყოს საქართველოს გამთლიანების, სათნოებისა და მშვიდობის წელი, – ბრძანა ილია მეორემ.

## „ფიცხელ ომში, რომ მღეროდა მაჩაბელი"

**კრწანისის ბაღში „მაჩაბელას დასის" მემორიალი დაიდგა.**

**ერეკლე მეფის სამეფო კარზე არსებული მაჩაბელის დასი, რომელსაც „მაჩაბელას დასსაც" ეძახდნენ, კრწანისის ბრძოლაში დაიღუპა.**

**მემორიალის გახსნას ესწრებოდნენ ქართული თეატრისა და კინოს რეჟისორები, მსახიობები და კრიტიკოსები.**

როგორც თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარემ გიგა ლორთქიფანიძემ აღნიშნა, ძალიან ცოტა ერს თუ ჰყავს მსოფლიოში ისეთი თეატრი, რომელსაც შეუძლია, გმირი მსახიობები დაიკვეხნოს.

– ეს არის ნამდვილად ისტორიული დღე ქართული თეატრისთვის, ვინაიდან დღეს ქართველ მეომარ დასს ვუდგამთ ძეგლს. ეს ადამიანები კრწანისის ბრძოლაში პირველები შევიდნენ, ქართულ ჯარს მიუძღოდნენ სიმღერითა და შეძახილებით. როდესაც დაინახეს, რომ მტერი მრავალრიცხოვანი იყო, თავადაც ჩაებნენ ბრძოლაში და, შეიძლება ითქვას, რომ კრწანისის ომში პირველები სწორედ მაჩაბელას დასის მსახიობები დაიღუპნენ, – აღნიშნა გიგა ლორთქიფანიძემ.

მისივე თქმით, მემორიალს ნილბის ფორმა აქვს და ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი პრეისტორიული ნილბის მიხედვით მომზადდა.

მემორიალი შარშან გაიხსნა, თუმცა დღემდე აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლის ეზოში იდგა, თეატრალურ მოღვაწეთა კავშირისა და თბილისის მერიის ინიციატივით კი, გადმოიტანეს სწორედ იმ ადგილას, სადაც „მაჩაბელას დასის" წევრები დაიღუპნენ.

გუშინვე გაიმართა ქართველი მსახიობების მედეა ჩახავას, დოდო ჭიჭინაძის, გურამ სალარაძის, კახი კავსაძის, თენგიზ არჩვაძის, ჯემალ ღაღანიძისა და რეჟისორ ამირან შალიკაშვილის დაჯილდოება. მათ აკაკი ხორავას, ვერიკო ანჯაფარიძისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიები გადაეცათ.

ინტერპრესნიუსი

მწარსიტყვა

## თუკი და ჰუკი

**ეკრანის წინ ფიქრი ჩნდება პრემიერზე – სულაც არა საჯარო და სანუკვარი: „შეიძლება პრეზიდენტს რომ გვერდით ეჯდეს, თუკი მართლა არის მისგან ნაჰუკარი?.."**

## ეს დიდი ქარტია არ გახდეს კვანტია...

**გვეღირსა, ეგაა, გვეშველა, ისაა, ჩვენს უსაფრთხოებას მძლავრ ჯავშნად არტყია – დაგვიცავს რუსეთის აგრესიისაგან აშშ-საქართველოს დიადი ქარტია...**

რამაზ ეკალაძე

კადრი



რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში" კოსტავას 12
98-65-87; 899 32-85-76.

ანეკდოტები

– დედი, ბევრი ზღაპარი იცი? – ეკითხება გოგონა.

– კი, შვილო.

– მომიყევი რომელიმე.



– აი, გაიზრდები, შვილო, გათხოვდები და ნახავ, რამდენ ზღაპარს მოგიყვება ქმარი.

* * *

– ბავშვებო, სიცივისგან ყველა სხეული იკუმშება, მცირდება, სიცხეში კი ფართოვდება და დიდდება, – ამბობს მასწავლებელი. აბა, დამისახელეთ ამის მაგალითები.

– ზამთარში დღე მოკლეა, მასწ,– წამოხტება მიხო.

* * *

– ვინც თავის თავს სულელად თვლის, ფეხზე წამოდგეს, – ეუბნება მასწავლებელი ბავშვებს.

ადგილიდან არავინ იძვრის. ბოლოს მიხო წამოიზლაზნება.

– რაო, მიხო, შენ მიგაჩნია თავი სულელად?

– არა, მასწ, უბრალოდ უხერხულია, რომ მარტო დგახართ ფეხზე.

* * *

– არა, მუშაობა არ ღირს, – ეუბნება ერთი მასწავლებელი მეორეს. მასწავლებელს დირექტორის ეშინია, დირექტორს – ინსპექტორისა, ინსპექტორს სამინისტროს წარმომადგენლისა, მინისტრს – მშობლებისა, მშობლებს კი ბავშვებისა ეშინიათ. აი, მხოლოდ ბავშვებს არ ეშინიათ არავისი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)
მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07
ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.